გამოინერეთ გაზეთი, რომელიც არასოდეს არ გატყუებთ!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 6 დეკემბერი. 2016 წ. №227 (8118), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქვეყნის ნგრევა საკუთარი ხელით!

უცხოური ინვესტიცია - დახმარება თუ ძარცვა?! 6

რა შენდება ანაკლიაში - ღრმაწყლოვანი პორტი თუ ამერიკული საზღვაო ბაზა? 4

ავტობიზნესი მორიგი კრიზისის ქოლგაქვეშაა!.. 8

საქართველოს ბიზნესექტორში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება 11

900.000 ზრდასრული და ახალგაზრდა თამბაქოს კვამლში ისრჩობა!.. 5

გაჯანჯღლებული თავხედობა

საქართველო, როგორც ქვეყანა, თურმე, „რუსთავი-2“-ზე მდგარა...

თვალებს იმდენად არა, ამ ბოლო დროს ყურებს უფრო არ მინდა დავუჯერო. ნამდვილად არა მგონია, რომ მსოფლიოში დღემდე იყოს ისეთი ქვეყანა, გინდა დიდი, გინდა პატარა, რომ ერთ ტელეარხზე იდგეს ამ ქვეყნის არსებობის ბედი. თუ არა ეს ტელეარხი, ამ ქვეყანაში დღისით მზე არ ამოვა და ღამით მთვარე. ყოველგვარ დემოკრატიაზე ლაპარაკი ხომ აშკარად სისულელეა...

მართალია, ამ ქვეყანაში ამ ტელეარხის გარდა, კიდევ ათობით სხვა ტელეარხი ეწევა მაუწყებლობას, მაგრამ ისინი გინდა ყოფილან და გინდა არა. თუ „რუსთავი-2“ დამუნჯდა, საქართველო, თურმე, პირველი და ერთადერთი მუნჯი ქვეყანა იქნება მთელ მსოფლიოში. და სწორედ ამიტომ არის ჩართული მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით ევროპა და ამერიკა, გვარამიასეული „რუსთავი-2“-ის შესანარჩუნებლად.

თუ არა გვარამია, თურმე, „რუსთავი-2“ დაემსგავსება ყველა დანარჩენ არხს და მშვიდობით, პლურალიზმო, მშვიდობით – განსხვავებულო აზრო, მშვიდობით – ოცნების ღრუბლებში მოლივლივე მთავრობის სწორ გზაზე დამყენებელო პირუთვნელო კრიტიკულო აზრო!

ჯერ ერთი, ამჟამინდელ მთელ ტელემაუწყებლობას გადასხმული აქვს შავი წყალი. არც ერთი არაფრის მაქნისი არ ყოფილა. არადა, თითქმის ყველა არხი არც არაფრით არ ჩამოუვარდება, განსაკუთრებით კი მიუკერძოებელი კრიტიკით, „რუსთავი-2“-ს, ხოლო თუ ჩამოუვარდება, ჩამოუვარდება მხოლოდ იმით, რომ ერთპარტიულ აზრს არ ატარებენ, ამ ერთპარტიული აზრის ერთ-ერთი მიზანი კი ის არის, რომ ქვეყანას კი არ წაადგეს, არამედ როგორმე ხალხს მხოლოდ გული გაუტეხონ და მომავლის იმედი ჩაუქრონ.

აი, დაახლოებით ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა გუშინ „კურიერში“ „რუსთავი-2“-ის სტუმრისა და ვირტუალური მფლობელ-მასპინძლის, აშკარად **გვარამიასგან ნავარჯიშევი ყარამანაშვილის** დაახლოებით ათწუთიანი იტერვიუსგან, რომელიც თავად თვითმარქვია გენერალური ქოსატყუილა გვარამიასი არ იყოს, მუქარანარევი ტონით იჩემებდა „რუსთავი-2“-ს, რომლის სარედაქციო პოლიტიკაზე გადაქვთ მთელი სიმძიმე, არადა, ეს გვარამიას მიზანმიმართული პოლიტიკაა მსმენელისა და მაყურებლის დასაბნევად.

„რუსთავი-2“-ის სარედაქციო პოლიტიკა ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. არც ისე დიდი დროა გასული იმ წლებიდან, როცა ნაციონალები თავიანთი ფიურერის სააკაშვილის თავხედური თავკაცობით, ქართველ ხალხს და მთლიანად საქართველოს, შაჰაბასივით დაერია და დღისით, მზისით მთელი ათი წელიწადი ძარცვავდა და აკნინებდა.

ჟურნალისტებს (25 რედაქციას) „სამშობლო“ წაართვა, მწერლებს – თავიანთი სახლი, ყველას რა ჩამოთვლის. სწორედ მაშინ „იმედთან“ ერთად „რუსთავი-2“-იც ნაციონალების „კუთვნილება“ აღმოჩნდა.

და აი, 2012 წლის არჩევნების შემდეგ სამართალი ურმით დადის საქართველოში. კოფოზე „ოცნება“ ზის, მაგრამ სახრე არ უჭირავს. ამ უსახსროობამ გამოიწვია სწორედ, რომ ნაციონალები კვლავ გალაღებას შეეცადნენ.

ამ გალაღების ერთი სათვალჩინო მაგალითია „რუსთავი-2“, სადაც დღემდე სააკაშვილის ძაძიანი კუდი გვარამიაა გამაგრებული და თვით სახელმწიფოს უპირისპირდება, მართლმსაჯულებას ათასგვარ ცილსა სწამებს, რათა ტელეარხის კანონიერი მფლობელი მაუწყებლობის შენობაში არ გააჭაჭანოს.

მაგრამ როგორც ყველაფერს, იმედია, ავაზაკურად მიტაცებული „რუსთავი-2“-ის ვაიეპოპეასაც ექნება დასასრული და ახალი მიუკერძოებელი ქართული მართლმსაჯულება კიდევ ერთი სამართლიანობის გამარჯვების მოწმეს გაგვხდის.

ისე, როდემდე უნდა ვუყუროთ ამ საეჭვოდ გაჯანჯღლებულ უსამართლობას?!

ნუთუ ეგზომ გათავხედებული გვარამია კიდევ დიდხანს იდგება კანონზე მაღლა?!

გურამ წიკლაური

ირაკლი კობახიძე:
დიდი სურვილი გვაქვს, კიდევ უფრო გაღრმავდეს პარტნიორობა დიდ ბრიტანეთთან

„ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას დიდ ბრიტანეთთან და დიდი სურვილი გვაქვს, კიდევ უფრო გაღრმავდეს ეს პარტნიორობა როგორც ქვეყნებს შორის ზოგადად, ასევე, პარლამენტთაშორის დონეზე. ამ მიმართლებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდება ჩვენი პარლამენტის მიერ“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის წევრებთან შეხვედრის შემდეგ.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯონათან ჯანოღლიმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ძალიან პოზიტიური შეხვედრა გაიმართა, ასევე დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოში დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერების მიმართულებით. დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფი შეხვედრებს საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთანაც გამართავს.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან. პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფი საქართველოს 8 დეკემბერს დატოვებს.

იან კელი : „ეს არის საქართველოს თავდაცვისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია“

შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ამერიკის 2017 წლის აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტის პროექტში საქართველოს მხარდაჭერაზე საუბრობს . იან კელის თქმით, ეს არის ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიმართულებით.

მისივე განცხადებით, იგეგმება შეერთებული შტატებიდან რამდენიმე ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი, რა დროსაც გაირკვევა დეტალები.

„ეს არის საქართველოს, მისი თავდაცვისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია. ჩვენ ველით რამდენიმე დელეგაციას, რის შემდეგაც თავდაცვის სამინისტროსთან და სხვა ოფიციალურ პირებთან გვექნება საუბრები იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია ერთობლივად. ჩვენ გვჭირდება იდეები ქართული მხრიდანაც. თუმცა ვფიქრობ, თანამშრომლობა ძირითადად ორიენტირებული იქნება საქართველოს თავდაცვითი მზადყოფნის გაზრდაზე. ბიუჯეტი დამოკიდებულია იმაზე, რისი გაკეთება შეგვიძლია ერთობლივად. სენატის რეზოლუციაში, რომელიც თავდაცვის დანახარჯებს განსაზღვრავს, ნახსენებია საქართველო და ეს კიდევ ერთი მიმანიშნებელია იმისა, თუ როგორი ღრმაა მხარდაჭერა თქვენი ქვეყნის მიმართ. ვფიქრობ, შეერთებული შტატების შემდეგი ადმინისტრაციაც თანაბრად მხარდამჭერი იქნება. თავდაცვის მდივნის თანამდებობაზე გენერალი მეტისის კანდიდატურის დასახელება საკმაოდ იმედისმომცემია. მას ესმის ნატო, აქ არსებული სიტუაცია და რაც მთავარია თავისი საქმე“.

იან კელიმ მთავრობის ახალი ეკონომიკური პაკეტიც შეაფასა და შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის საქართველოსთან მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრა.

„რაც შეეხება ეკონომიკას, პრემიერ-მინისტრს ძალიან კარგი გეგმა აქვს ეკონომიკის გასაზრდელად. ვფიქრობ, რეგიონში უამრავი გამოწვევაა. შეერთებული შტატები მხარს უჭერს პრემიერის გეგმას“, — განაცხადა იან კელიმ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ ზურაბ პატარაძე აირჩიეს

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა.

მმართველი გუნდის 14 დეპუტატმა ნდობა გამოუცხადა პატარაძეს.

„დიდი მადლობა ამ ნდობისთვის. დღეს ვრცლად ვისაუბრე იმ გეგმებზე რა მიმართულებითაც ვიმუშავებთ, სად გვაქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. წელს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი მაღალმთიანი აჭარა და ინვესტიციებია. ამბიციური გეგმები გვაქვს და დარწმუნებული ვარ გამოგვივა“, — განაცხადა პატარაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრთა კაბინეტი ჯერ არ წარუდგენია. მისი განმარტებით, ის უახლოეს დღეებში წარადგენს მინისტრებს და არ გამოიყენებს 10-დღიან ვადას.

ახალი ხელისუფლების პირობებში ახალ გეგმებზე იქნება საუბარი

ახალი ხელისუფლების პირობებში ახალ გეგმებზე იქნება საუბარი, — აღნიშნა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის იან კელის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, უახლოეს ხანებში აშშ-დან რამდენიმე ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი იგეგმება.

„რა იქნება და რას მოხმარდება, ეს უკვე მთავრობებს შორის შეთანხმების საფუძველზე მოხდება. მე ვიცი, რომ ძალიან ინტენსიური ურთიერთობა აქვს ამ მხრივ, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს მის კოლეგებთან. ვიზიტი იქნება საქმიანი, გარდა იმისა, რომ ეს არის ჩვენი მეგობრის სტუმრობა და იქნება ძალიან საქმიანი უკვე ახალი მთავრობების, ახალი ხელისუფლებების პირობებში, ახალ გეგმებზე გვექნება საუბარი. მას ძალიან კარგად ესმის საქართველოს პრობლემები, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში არსებული ვითარება, ის მხარდაჭერის აუცილებლობა, რაც ქვეყანას სჭირდება,“ — ირაკლი სესიაშვილმა.

აჭარაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს

აჭარაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაო გრძელდება. უამინდობამ პრობლემები შექმნა ბათუმსა და ქობულეთში. ზღვიდან ამოტანილმა ნატანმა ორივე ქალაქში სავალი ბილიკები და გაზონები დაფარა, დაზიანებულია სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის ნაწილი.

გაწმენდითი სამუშაო ზღვისპირა ქალაქებში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პარალელურად ზარალსაც ითვლიდნენ, თუმცა როგორც აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა უმნიშვნელოა.

გოგლა ჟვანია:
ეს იყო მკვლელობა... რატომ ვერ მოახერხა პროკურატურამ ამის დასაბუთება, ვერ გეტყვით

ექსპერტ ლევან ჩაჩუას საქმეს ეხმაურება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძმა გოგლა ჟვანია. მისი შეფასებით, ექსპერტის საქმე მხოლოდ ნაწილია მთელი ამ ისტორიის და ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის მთავარი გამოძიება პროკურატურაში ჯერ კიდევ გრძელდება.

„მე ყოველთვის ვსაუბრობ, რომ ეს იყო მკვლელობა და ვსაუბრობ იმ მტკიცებულებებით, რომელზეც ხელი მიმიწვდება, ეს არის ჩემი აზრი და ვფიქრობ, რომ გამოძიება ამ დასკვნამდე თვითონაც მივა. ეს არის მცირე ეპიზოდი გამოყოფილი ამ საქმიდან, კონკრეტულმა სახელმწიფო მოხელემ ჩაიდინა თუ არა გულგრილობა. ეს არ იყო არსებითი განხილვა ზურას საქმის და ასევე, ვთქვათ სიკვდილის გარემოებების დამდგენი გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს უკვე პროკურატურაში და არ დასრულებულა. რატომ ვერ მოახერხა პროკურატურამ ამის დასაბუთება სასამართლო პროცესზე, მე ვერ გეტყვით,“ — განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

შეგახსენებთ, რომ ჟვანიას საქმის ექსპერტის ლევან ჩაჩუას ადვოკატის ინფორმაციით, დასრულდა სასამართლო პროცესები, დადგინდა, რომ ჟვანია და იუსუპოვი გაზით გარდაიცვალნენ. გიორგი ფანცულაია ამბობს, რომ უზენაესმა სასამართლომ დაახლოებით 6 -თვიანი ფიქრის შემდეგ გაიზიარა ჩვენი დაცვის პოზიცია და აღარ მიიღო პროკურატურის საჩივარი წარმოებაში, რითაც დასრულდა ქართულ მართლმსაჯულების სამივე ინსტანციაში სისხლის სამართლის კუთხით აღნიშნული საქმის წარმოება.

ზურაბ ჟვანიას საქმეზე დაკავებული ლევან ჩაჩუა უზენაესმა სასამართლომ გაათავისუფლა

უზენაეს სასამართლოში ადასტურებენ, რომ ზურაბ ჟვანიას საქმეზე დაკავებული ექსპერტის ლევან ჩაჩუას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვა.

„პროკურატურის საკასაციო საჩივარი უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო. შესაბამისად, ძალაში რჩება სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი“, — განუცხადეს „რუსთავი-2“ -ს უზენაეს სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

ლევან ჩაჩუა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2014 წლის 21 მარტს დააკავა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილ გამგეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წაუყენეს.

პროკურატურა ამტკიცებდა, რომ 2005 წლის 3 თებერვალს ლევან ჩაჩუამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს, გვამების გამოკვლევისას გამოიჩინა გულგრილობა და არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა.

პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ლევან ჩაჩუას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა ის 8 თვის შემდეგ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

2015 წლის 16 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ლევან ჩაჩუა გაამართლა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სააპელაციო ინსტანციაში გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ახალი ხელმძღვანელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, გალაქტიონ ბუაძე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს უხელმძღვანელებს. გალაქტიონ ბუაძე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 30 ნოემბრის №480 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა.

გალაქტიონ ბუაძე 2013-2016 წლებში მუშაობდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში" ფინანსურ დირექტორად. სხვადასხვა დროს ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები საქართველოს სამრეწველო ჯგუფში, „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში" და სხვადახვა კერძო და საერთაშორისო კომპანიაში. მუნიციპალური განვითარების ფონდში, მან ჯუანშერ ბურჭულაძე შეცვალა. თავად ბურჭულაძე აღმასრულებელი დირექტორის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

„პატრიოტთა ალიანსის" ერთი შემომწირველი 183 ათას 200 ლარით დაჯარიმდა

სახელმწიფო აუდიტის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ზურაბ აზნაურაშვილის განცხადებით მონიტორინგის ფარგლებში დაჯარიმებულია პოლიტიკური გაერთიანება „სახელმწიფო ხალხისთვის" 7 პირი, ჯამური სანქციის 187000 ლარის ოდენობით, „პატრიოტთა ალიანსის" ერთი შემომწირველი 183 ათას 200 ლარის ოდენობით,. „ქართული ოცნების" სასარგებლოდ გაწეული უკანონო ქველმოქმედებისთვის დაჯარიმებულია რამდენიმე პირი 8000 ლარის ოდენობით.

მისივე თქმით, „სახელმწიფო ხალხისთვის" შემომწირველი სამი პირის საქმეს სასამართლო სწავლობს. ასევე სამი საქმე, მათ შორის ლევან ვარშალომიძის მიერ ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტი ბინების გადაცემის ამბავი, ასევე მარნეულში ეტლის გადაცემის და ოქრუაშვილის მიერ საკვების დარიგების ფაქტს პროკურატურა სწავლობს. ონფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით დაჯარიმებულია 7 პარტია და 12 კანდიდატი.

ლარი!?. დოლარი!?. საკითხავი აი, ეს არის

(მეორე წერილი)

ჭეშმარიტებაა: საზოგადოებას ჰყავს ისეთი ხელისუფლება (პირველი და მეოთხე), რასაც იმსახურებს.

ავტორიტეტულმა ექსპერტმა მიხეილ დუნდუამ ღიად, მოურიდებლად, დასაბუთებით განაცხადა: „ის რაც მსხვილმა ეკონომიკურმა მოთამაშეებმა გუშინ გააკეთეს, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა და ამით სამართალდამცავები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ".

მაღალი ღმერთია მოწმე, საერთოდ არ ვიცნობ ამ კაცს, არ მომისმენია, არ მისაუბრია და არ მინახავს მისი ეს მოსაზრებები...

ვფიქრობ: მართებული და საფუძვლიანი ანალიზია.

დასკვნებიც ანგარიშგასაწევი.

სხვას კი არაფერს ვწერდი ჩემს წინა წერილში... (http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=32316).

ხმამაღლა ვეჭვობდი: ვიღაცას ქვეყნის „აყირავება" უნდა...

ასევე ხმამაღლა ვაჟღერებდი ხალხში გავრცელებულ მოარულ ხმას და შეფასებას: „საუკუნის აფიორა"...

ასევე, მივანიშნებდი: რამდენიმე მაღალჩინოსნისა და რამდენიმე ბანკის მესვეურთა საეჭვო კავშირს...

უკმაყოფილების, ეჭვის, მოარული ხმების ადრესატი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი ქვეყნის მთავრობა გახლავთ. ეს ბუნებრივია და სხვისკენ ხელის გაშვერა, უბრალოდ, შეგნებული მიამიტობა, ანუ, სიბრიყვე იქნებოდა.

არ მინდა, დავიჯერო, რომ ურთიერთკავშირშია პრემიერის საზღვარგარეთული ვიზიტისთვის შერჩეული დრო და „ამ დღეებს" დამთხვეული ლარის მოულოდნელი „სალტო-მარტალე"...

ეს გასარკვევია!

ყველა გზით, ყველა ხერხით, ყველა დონეზე!

და თუ აღმოჩნდება რაიმე, სულ მცირე, სულ პაწაწინა კავშირი ამ ორ მოვლენას შორის, მაშინ...

უნდა დადგეს ამ მთავრობის პოლიტიკური სცენიდან დაუყოვნებლივ „გაძევების" საკითხი.

ვიმედოვნებ, ძალიან ვიმედოვნებ და მჯერა, რომ ეს ასე არ იქნება.

მაშინ, მედალს მეორე მხარე აქვს და...

თავისი სიტყვა უნდა თქვას პროკურატურამ!

ვიცი, მავანს აკვიატებად მოეჩვენება („კართაგენი უნდა დაინგრეს"!), მაგრამ მაინც უნდა ვიწინასწარმეტყველო (და თუ შევცდები, გამიხარდება): იმდენი ქართველ საზოგადოებას არ აუდგა გვერდები, ვიდრე ამ მოვლენას ჩვენი პროკურატურა დროულად და ეფექტიანად გამოიძიებდეს.

არადა, ერთადერთი რაც პროკურატურის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა კარგად (!) და პროფესიულად (!) იცის, ფინანსური მაქინაციებია, რომელთა ჩაფიქრების, წარმოშობის, განვითარების და შედეგიანობის ტექნოლოგია (ანატომია) საფინანსო პოლიციაში ღრმად აქვთ შესწავლილი.

ეს ერთი პოზიტივი ნამდვილად არსებობს. დანარჩენზე ვკვდები სიცილით. განსაუთრებით, მათი საქმიანობის გამჭვირვალობაზე. მაგათ გამჭვირვალობა ის გონიათ, რამდენიმე „დაახლოებულ" ჟურნალისტს „საიდუმლოდ" რომ გაანდობენ სტრუქტურისთვის „საჭირო" ინფორმაციას და ისინიც საზოგადოებას „მიასაღებენ" როგორც საკუთარ „ექსკლუზივს".

დანარჩენი — შეაყარე კედელს ცერცვი.



რისი საჯარობა, რისი მედიის კრიტიკისადმი ყურადღებიანი მოპყრობა, რეაგირება, მუდმივი, საქმიანი კონტაქტი...

ჭეშმარიტებაა: საზოგადოებას ყავს ისეთი ხელისუფლება (პირველი და მეოთხე), რასაც იმსახურებს.

პროკურატურაც!!!!!

შენ დაუკა!!!!

ნუგზარ ფოფხაძე

◎ აზრთა ჭიდილი

„ქართული ოცნების" 2017 წლის გეგმები მოსახლეობას გაალატაკებს?

საქართველოს მთავრობა 2017 წლიდან სხვადასხვა მიმართულებით იწყებს მოსახლეობისთვის დამატებითი გადასახადების დაწესებას, ასევე სოციალური შეღავათების (თუ რამ არსებობს) მოხსნას. ხელისუფლების პიარსამსახურებმა ერთ-ერთ სტრატეგიად აიღეს მოსახლეობის საერთო მოცემულობის სოციალურ სეგმენტებად დაყოფა და სხვადასხვა სოციალურ შრეზე ზემოქმედებით მოსახლეობისგან პროტესტის არიდება (ე.წ. „დაშალე-იბატონეს" პრინციპი ის არის, რომ ცალკეულ საზოგადოებრივ სეგმენტებს შორის ურთიერთსოლიდარობა დაბალია, ამით აქტიური და ორგანიზებული პროტესტის აცილება ხდება შესაძლებელი).

პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე „გამოარჩია" ე.წ. მდიდრების ფენა, რომელიც საქართველოში 90-იან წლებში მიღებული კოეფიციენტით განისაზღვრება ოჯახზე 40 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავლის შემთხვევაში ქონების გადასახადის დაწესებით, რაც დღემდე მოქმედებდა.

მოსახლეობის ყურადღება მინდა, მივაპყრო იმას, რომ რეალურად, ის შემოსავალი, რაც 90-იან წლებში სიმდიდრედ ითვლებოდა, დიდი ხანია, შევიდა საშუალო შემოსავლებში და უფრო მეტიც, საშუალო შემოსავლებზე ნაკლებ ქონებად.

უპირველეს ყოვლისა. რეალურად ე.წ. 40 000-ლარიანი შემოსავალი ხელზე აღებულ 32 000 ლარს ნიშნავს, რადგან 20%-ს სახელმწიფო ისედაც ქვითავს ანაზღაურების გაცემისას.

ასევე მინდა, ყურადღება მივაქციო, რომ მთავრობა ანგარიშობს ოჯახზე არსებულ შემოსავალს და არა ერთ ადამიანზე არსებულ შემოსავალს, მაგალითად, ერთი ადამიანის პირობებში არსებული შემოსავალი ისევე ანგარიშდება, როგორც 2, 5 თუ 8 ადამიანზე იგივე შემოსავალი, ცხადია, ეს სოციალური უსამართლობისა და დისკრიმინაციის, მით უმეტეს სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის დისკრიმინაციის ტიპური მაჩვენებელია, რადგანაც ერთმანეთისგან არ ანსხვავებს 1 ადამიანი იღებს 32 000 ლარს თუ 10 წევრი ჯამში.

მინდა, ორიოდე კონკრეტული ნიმუში წარმოვადგინო, როგორ ისახება და აისახება 2017 წლიდან ოჯახებზე სახელმწიფოსგან მსგავსი მიდგომა.

მაგალითად, ჩემი ოჯახი 6 წევრისგან შედგება: აქედან მამაჩემი ჩავარდნილი ავადმყოფია, დედა დიაბეტიანი, ორივე მათგანი პენსიონერია, ორი მცირეწლოვანი შვილი, მე და ჩემი მეუღლე. სახელმწიფო მიმტკიცებს, რომ მე ვარ მდიდარი ადამიანი. როგორია ჩემი წილი „სიმდიდრე", ამას სულ მარტივად დავითვლით. გარდა იმისა, რომ სამი თაობა ვცხოვრობთ თბილისის გარეუბანში ოროთახიან ბინაში, კონკრეტული შემოსავალი ასე გვინაწილდება: 40 000 ლარს გამოკლებული სახელმწიფოსგან დაქვითული 20% და ეს არის 32 000 ლარი წლიური შემოსავალი მთელ ოჯახზე. თუ 32 000 ლარს გავყოფთ 12 თვეზე, მივიღებთ თვეში ოჯახის საერთო შემოსავალს, ხოლო თუ ჩემი ოჯახის წევრების რაოდენობაზე გავყოფთ, მივიღებთ ერთ ადამიანზე არსებულ შემოსავალს დაახლოებით 300 ლარს. ეს არის შემოსავალი კვებისათვის, გადასახადები, ჯანდაცვის ხარჯები და ა.შ. მაგალითად, მამის მხოლოდ ერთ-ერთი პრეპარატი ჯდება თვეში დაახლოებით ორჯერ მეტი, ვიდრე მისი წილი შემოსავალი თვეში, აღარაფერს ვამბობ დიაბეტიანი ადამიანების სპეციფიკურ კვებასა და პრეპარატებზე, ასევე შვილებზე, რომლებთაც სპეციალური კვება აქვთ და ა.შ.

ამ პირობებში, „ქართული ოცნების" ხელისუფლება მე მეუბნება, რომ ჩემი ოჯახის თითოეული წევრი არის მდიდარი, თუ გავიჭირვებ და შევიძენ ავტომობილს, აუცლებლად უნდა დამეკისროს გადასახადი მასზეც, როგორც ზოგადად ქონებაზე და ა.შ. ხოლო 2017 წელს თითქმის უკვე დაგეგმილი რეფორმებით, ჩემი ოჯახის პენსიონერ წევრებს არ ექნებათ უფლება, ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვით, შვილებს — უფასო ბაღითა და სამომავლოდ, სკოლაში სასწავლო შეღავათებით, აღარაფერს ვამბობ დამატებით გადასახადებზე და ა.შ.

კიდევ ერთი ამბავი, რომელიც, ჩემი ამბისა არ იყოს, ერთ-ერთია და არა გამორჩეული, ერთ მეგობარ მეზღვაურს ეხება. ის მწერს: „მე მაქვს 40 000 შემოსავალი და იმდენ ადამიანს ვარჩენ, რომ არ მყოფნის და ყოველ წელს სესხს ვიღებ და ვარ მერე მთელი წელი სესხის გადახდაში. იმ 40 000-ისთვის წელიწადში 4 თვე ზღვაში ვარ, 4 თვე სახლში და შემდეგი 4 ისევ ზღვაში. 2 შვილი მყავს და ისე დაიბადნენ რომ ხმელეთზე არ ვყოფილვარ. წელს პირველად შევხვდი მეორე შვილის დაბადების დღეს ოჯახთან ერთად, დედაჩემის დაბადების დღეზე 7 წელიწადია, არ ვყოფილვარ, 7 წლის მანძილზე წლევანდელი ახალი წელი გავატარე ოჯახში. მთელი ცხოვრება ვშრომობ და ვწვალობ და ახლა მეუბნებიან, შენ ზედმეტი გაქვს, არც შეღავათები გეკუთვნის და გადასახადები გადაიხადე, როგორც მდიდარმაო — 6 უმუშევრისა და 2 პენსიონერის პატრონმა, რომელთა პენსია მათი წამლების 10% ვერ ყიდულობს?"

პარადოქსია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, ისეთ ოჯახებს, რომლებიც რეალურად საშუალო შემოსავალსაც არ ფლობენ, ხელისუფლება ეძახის „მდიდარს" და 2017 წლიდან დაგეგმილი სიახლეებით ე.წ. „საშუალო ფენის" მეტად გაღარიბებას ცდილობს.მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში თუ შეიძლება ცხოვრობდეს „მდიდარი" ქალაქის ბოლოში ერთ ოთახში 4 ადამიანით და მეტრომანით ხელში.

ცალკე წერილში აუცილებლად ვაცნობებ ჩვენი მოსახლეობის სხვა ნაწილს, რამდენად აისახება ხელისუფლების სამომავლო გეგმები სხვა ცალკეულ ნაწილებზე, როგორც ავტომობილების მფლობელების, ასევე, ე.წ. ტაქსიზე მომუშავეების და სხვა სოციალური ჯგუფების შემთხვევაში.

ხელისუფლებისგან მოვითხოვ, შექმნას უპირველეს ყოვლისა, სოციალური შეფასების შედარებით სამართლიანი სისტემა, მოახდინოს ე.წ. მდიდრის შემოსავლის მაჩვენებლის კორექტირება და ერთი ადამიანის შემოსავალზე განსაზღვრა, ასევე ასეთი ჯგუფების შემოსავალ-გასავლის დეკლარირების პრინციპზე, მოგების ნაწილიდან გადასახადის გადახდა და არა იმ ფორმით რაც დღეს გვაქვს, რადგან იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რაში ხარჯავს ადამიანი ფულს, წამლებსა და მკურნალობაში თუ უძრავ-მოძრავი ქონების თუ მატერიალური დოვლათის შექმნაში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჰყონ მსგავსი სოციალური ფენა სხვებისგან, სხვა შემთხვევაში, ხელისუფლებაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორც გენოციდის მომწყობისა და დისკრიმინატორისა ცალკეული ჯგუფების მიმართ.

არჩილ გამზარდია

◎ საუკუნის პროექტი

რა შენდება ანაკლიაში – ღრმაწყლოვანი პორტი თუ ამერიკული საზღვაო ბაზა?

ანაკლიის პორტის პროექტში 100 მილიონის ინვესტიციას ახორციელებს საქართველოც, რომლის მიერ გამოყოფილი თანხა ძირითადად საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის შექმნისა და ანაკლიის სატრანსპორტო ქსელთან დასაკავშირებლად დაიხარჯება.

პროექტ მედიის პროფესიული დეტექტორი: ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ, რომლის მიზანია საზოგადოების კვალიფიციური ინფორმირება, მორიგ კვლევას აქვეყნებს, რომლის მიხედვითაც, ინფორმაცია, თითქოს ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის ნაცვლად ამერიკული საზღვაო ბაზა შენდება, სიმართლეს არ შეესაბამება.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, შეიქმნას თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი პორტი, რომლის სიღრმე და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფს დიდი ზომის გემების მომსახურებას. კერძოდ, 10,000-კონტეინერიანი (TEU) პანამაქსის და პოსტპანამაქსის ტიპის გემების მიღებას, რომელთაც დღესდღეობით საქართველოში არსებული ვერც ერთი სხვა პორტი ვერ ემსახურება. პორტის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად იგეგმება და მოიცავს 9 ფაზას. საბოლოოდ, მისი გამტარიანობა წელიწადში 100 მილიონ ტონას მიაღწევს.

ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პარალელურად დაგეგმილია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა, რომელიც განთავსდება ანაკლიის პორტის უკან. ეს განავითარებს პორტის გარშემო არსებულ ინფრასტრუქტურას და ადგილობრივ მოსახლეობას ანაკლიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დასაქმების საშუალებას მისცემს.

პორტისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობასა და განვითარებას ანაკლიის განვითარების კონსორციუმი (ADC) უზრუნველყოფს. კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან TBC Holding და ამერიკული დეველოპერული კომპანია „Konti International". „თიბისი ჰოლდინგი" ფინანსურ, უძრავი ქონებისა და საწარმოო ბიზნესში რამდენიმე კომპანიას, მათ შორის, „თიბისი ბანკს" აერთიანებს. „Konti International" 1906 წელს დაფუძნებული კომპანიაა, რომელიც ახორციელებს მრავალმილიონიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს. იგი ზედამხედველობას გაუწევს პროგრამის განვითარებას. გუნდის დანარჩენი წევრები არიან ანაკლიის პორტის კონცეპტუალური დიზაინის ავტორი საერთაშორისო კომპანია „Moffatt & Nichol"; ჰოლანდიური საკონსულტაციო ფირმა საპორტო ტრანზაქციების საკითხებში Maritime & Transport Business Solutions (MTBS) და ქართული იურიდიული ფირმა BLC Law Offices.

ანაკლიის პორტის პროექტში 100 მილიონის ინვესტიციას ახორციელებს საქართველოც, რომლის მიერ გამოყოფილი თანხა ძირითადად საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის შექმნისა და ანაკლიის სატრანსპორტო ქსელთან დასაკავშირებლად დაიხარჯება. ანაკლიის პორტს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დააკავშირებს ევროპისა და აზიის კონტინენტს და ქვეყანას მისცემს საშუალებას, გაზარდოს საკუთარი სატრანსპორტო, ფინანსური, სამრეწველო და ტურისტული პოტენციალი (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ანაკლიის განვითარების კონსორციუმის ოფიციალური ვებგვერდი).

8-9 ივლისს, ნატოს ვარშავის სამიტის დასკვნითი კომუნიკე შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მხრივ არსებული გამოწვევების დაძლევისთვის თანამშრომლობას შეეხება. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატო გააგრძელებს შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების ძალისხმევის მხარდაჭერას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ასევე გააძლიერებს დიალოგსა და თანამშრომლობას უკრაინასა და საქართველოსთან ამ მიმართულებით.

უშუალოდ საქართველოს კომუნიკეს 111, 112 და 113 მუხლები შეეხება. 111 მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობა მოიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს წევრობისთვის მოსამზადებლად. ალიანსი მიესალმება საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს ნატოსთან დაახლოების კუთხით. ნატო მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს მნიშვნელოვან და მიმდინარე კონტრიბუციას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში და ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიაში.

112 მუხლის თანახმად, ნატო გააგრძელებს მხარდაჭერას ნატო-საქართველოს ყოვლისმომცველი პაკეტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის მხრივ, რომელიც მიმართულია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებისკენ და ეხმარება ალიანსის წევრობისთვის მომზადებაში. ალიანსი უზრუნველყოფს საქართველოს საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო დაზვერვის მხარდაჭერას და ასევე გააღრმავებს ფოკუსს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე.

კომუნიკეს 113 მუხლში ნატო მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს საქართველოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, შეწყვიტოს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ საზღვრის მსგავსი დაბრკოლებების შენება და გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოდან. ალიანსი არ აღიარებს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან გაფორმებულ ე.წ. შეთანხმებებს. კომუნიკეს მიხედვით, შეთანხმებები არღვევენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, აშკარად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლის, ეუთოს პრინციპებსა და რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს.

ევროკომუნიკატორი

სამომხმარებლო ბაზარი: ახალი წლიდან – ახალი რეგულაციით

გაისიდან სურსათის მაღაზიებში მომხმარებელთათვის ერთობ საგულისხმო სიახლე გაჩნდება: აქამდე არსებული რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტაციის მსგავსად, ხორცის ეტიკეტირება სავალდებულო იქნება.

საქონლის ხორცისა და ხორცპროდუქტების სავალდებულო ეტიკეტირების წესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. აღნიშნულთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში, სურსათის ეროვნული სააგენტო აღნიშნავს, რომ ეტიკეტზე ხორცის თუ მისგან დამზადებული პროდუქტის ვარგისიანობასთან, გამოშვებისა თუ მოხმარების ვადებთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია უნდა იყოს დატანილი, იმ შემთხვევაში კი როცა საქმე ეხება დაუმუშავებელ უმ ხორცს, მისი ეტიკეტირება უშუალოდ სასაკლაოებზე უნდა მოხდეს.

ამასთან, სააგენტოს სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ აქამდე ეტიკეტირება ნებაყოფლობით ხორციელდება, საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების დებულებათა თანახმად, 1 იანვრიდან ამის გაკეთება უკვე სავალდებულო იქნება.

ზოგადად თუ ვიტყვით, რასაც საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულება იქნება. აქედან გამომდინარე, „საქონლის ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტი ამ მხრივ ერთ-ერთი მეტად საგულისხმო რეგულაციაა, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ამ წესის რეალურად ამოქმედება კი ბაზარზე წესრიგს საგრძნობლად გაამყარებს.

ბუნებრივია, რომ როცა რეგულაცია ახალი წლიდან უნდა ამოქმედდეს, ტექნიკური სიახლისთვის მზადების დაწყება წინდაწინვეა საჭირო, რაც, ცხადია, გარკვეულ ხარჯთანაა დაკავშირებული, რომელსაც ხორცის მწარმოებლები ისევ მომხმარებლის ხარჯზე აანაზღაურებენ. ეს გზა კი, რა გასაკვირია, არა მათი მოგების მარჟის შემცირებაზე, არამედ პროდუქციის გაძვირებაზე გადის. სავსებით გასაგებია ისიც, რომ დიდი კომპანიებისთვის ეს ხარჯი მაინცდამაინც მძიმე ტვირთი არ იქნება, მას იოლად გაუმკლავდებიან და მათი პროდუქციის ფასზე იმდენად არ აისახება. ხოლო რაც შეეხება მცირე საწარმოებს, აქ ფასების მატება, რასაკვირველია, გაცილებით მეტი იქნება.

არადა, იმის გათვალისწინებით, რომ ხორცის ბაზარზე დღესდღეობით აუარება საქონელი სრულიად შეუმოწმებელი, ყოველგვარი სავეტერინარო შემოწმების, თან ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე იყიდება, სავალდებულო ეტიკეტირების შემოღება აშკარად დროული ღონისძიებაა.

ნინო ალექსანდრია

საჰაერო გადასასვლელი მდინარე ყუროს ხევზე

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (სნგკ) „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის" 1200მმ დიამეტრის მაგისტრალურ გაზსადენზე ყაზბეგის რაიონში მდინარე ყუროს ხევზე საჰაერო (ვანტური) გადასასვლელს აშენებს.

ამ დროისათვის გადასასვლელისთვის უკვე მოეწყო ბეტონის საანკერო და საქარე საყრდენები ბაგირების ჩასამაგრებლად და უახლოეს მომავლში დაგეგმილია ბაგირების მონტაჟი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება გაზსადენის განთავსება ხსენებულ ბაგირებზე.

სამუშაოებს სნგკ-ის დაკვეთით ტენდერში გამარჯვებული ქართული კომპანია "ელიტა ბურჯი" ასრულებს.

სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 1 483 472 ლარია.

„ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის" 1200მმ დიამეტრის მაგისტრალური გაზსადენის აღნიშნული მონაკვეთი ამჟამად მდინარის კალაპოტში მიწისქვეშ გადის, რაც ამ მდინარესთან დაკავშირებული უკიდურესად რთული ჰიდროლოგიური და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, მილსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის.

◎ რატომ ვიწამლავთ თავს?!

900.000 ზრდასრული და ახალგაზრდა თამბაქოს კვამლში ისრჩობა!..

მომავალზე ზრუნვა შეუსრულებელ ვალდებულებათა ფონზე

საქართველოში მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა 3 მილიონ 720 ათას კაცზე მეტს შეადგენს, რომელთაგან, ფაქტობრივად, ყოველი მესამე (ყოველ შემთხვევაში 30 პროცენტზე მეტი) თამბაქოს მწეველია. არადა, მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, ამ უაღრესად არასახარბიელო მაჩვენებლითაც კი, საქართველოს მსოფლიოს თამბაქოს ყველაზე ინტენსიურად მომხმარებელი ოცი ქვეყნის ნუსხაში არ შედის. ამ მხრივ ჩვენ, მართალია, ამ სავალალო ლიდერ ქვეყნებს — საბერძნეთს, ბულგარეთსა და სერბეთს — საგრძნობლად ჩამოვრჩებით, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც თამბაქოს ერთ-ერთ აქტიურად მომხმარებელ სახელმწიფოდ ვითვლებით.

თამბაქოს მოწევა ყველა ასაკისა და სქესის ადამიანისთვის მავნე და ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი რომაა, ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა ისიც კარგადაა ცნობილი, რომ განსაკუთრებით ცუდად იგი მოზარდებისა და ქალების ორგანიზმზე მოქმედებს. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანი იყო სულ ახლახან, ნოემბერში, **საქართველოს მასშტაბით ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა.** უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტიპის საერთაშორისო კვლევა ევროპის 35-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის ათი წელია, საქართველოშიც ტარდება.

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა მხარის 190-მა საშუალო სკოლის მოსწავლემ, ანალიზი ჩაუტარდა 2477 სრულად შევსებულ კითხვარს. რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი — 1961 მოსწავლე — 1999 წელსაა დაბადებული, ამდენად ექსპერტები გამოკვლევის შედეგებს საქართველოში ყველა 16-17 წლის ასაკის მოსწავლეზე აზოგადებენ. ჩატარებული კვლევის შედეგები მოკლედ რომ დახასიათდეს, შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოში სკოლის მოსწავლეთა თითქმის ნახევარი (42 პროცენტი), მეტ-ნაკლები ინტენსივობით, თამბაქოს მომხმარებელია.** ეს, ასე ვთქვათ, „გასაშუალოებელი“ მონაცემებია, თორემ ბიჭებთან შედარებით მოზარდი გოგონები (ყოველ შემთხვევაში გამოკითხვის მონაწილეთა შორის მაინც) ნაკლებად ეტანებიან სიგარეტს (30 პროცენტი), ხოლო ყმაწვილებში ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მეტია და 54 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლე მოზარდების 20 პროცენტმა (ბიჭების 28 და გოგონების 13 პროცენტმა) თამბაქოს გემო პირველად 13 ან კიდევ უფრო პატარა ასაკში გამოსცადა.

გამოკითხულთა უმეტესობისთვის (60 პროცენტისთვის) თამბაქოს ნაწარმის შოვნა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რაც, როგორც ჩანს, იმის ერთ-ერთი უაღრესად ხელშემწყობი მიზეზია, რომ საქართველოში სიგარეტის მწეველთა რიცხოვნობის მომატება, ძირითადად, ქალებისა და მოზარდების ხარჯზე ხდება. მართალია, ეს ტენდენცია სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენთვის ეს ვერაფერი შვებაა. თანაც უბედურება ისაა, რომ ზოგიერთები მოწევას, სულაც, 9-10 წლის ასაკში იწყებენ, რის შედეგად შეუდარებლად მკვეთრად მატულობს ადრეული სიკვდილიანობის რისკი. ამის გარდა, სპეციალისტი ნარკოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ **არსებობს გარკვეული დამოკიდებულება ადრეულ ასაკში თამბაქოს მოწევის დაწყებასა და შემდგომში გაცილებით მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას შორის.** ექიმები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ **მოზარდებისთვის სიგარეტის მოწევა განსაკუთრებით მავნე კიდევ იმიტომაცაა, (ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ნორჩი ორგანიზმის შხამთან გამკლავების შეზღუდულ შესაძლებლობებსაც თავი რომ დავანებოთ!), რომ ისინი ამ მავნე ჩვევის მშობლებისა და, ზოგადად, უფროსებისთვის დამალვას ცდილობენ, ამიტომ ჩუმ-ჩუმად და, რაც ყველაზე ცუდია, ჩქარ-ჩქარა ეწევიან და ბოლს სწრაფად ისუნთქავენ. ამ დროს კი თამბაქოს კვამლში მავნე ნივთიერებების უფრო მეტად კონცენტრირება ხდება რაც, ცხადია, ჯანმრთელობას უფრო მეტად ვნებს.** (აქვე იმასაც გეტყვით, რომ სიგარეტის ნელ-ნელა მოწევისას, თამბაქოს კვამლში ნიკოტინის მხოლოდ დაახლოებით 20 პროცენტი გადადის, სწრაფი მოწევისას კი — 40 პროცენტზე მეტი). სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ნიკოტინი — ესაა ჩვეულებრივი ნარკოტიკული ბუნების მქონე ნივთიერება, რომელიც თითქმის ისეთივე დამოკიდებულებას იწვევს, როგორც რომელიმე სხვა, ეგრეთ წოდებული „მძიმე ნარკოტიკი“.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, თამბაქოს კონტროლის ალიანსის სპეციალისტები აცხადებენ, რომ თუკი თამბაქოს ნაწარმის რეალიზებითაც, პირობითად, სახელმწიფო ბიუჯეტი ერთ ლარ შემოსავალს იღებს, შემდგომ დაზიანებული ჯანმრთელობის დაცვა-აღდგენისთვის სამჯერ მეტს ხარჯავს. ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო/კონვენციასთან მიერთებიდან ათი წლის შემდეგაც კი, საქართველოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებათა უმეტესობა დღესაც შეუსრულებელი აქვს. მათ შორისაა **დახურული ტიპის შენობებისა და ტრანსპორტის გათავისუფლება თამბაქოს კვამლისგან, თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის სრული აკრძალვა, დაავადების სურათებრივი გამოსახულების (პიქტოგრამების) დატანა თამბაქოს ნაწარმის კოლოფებზე, თამბაქოს ნაწარმის ლიცენზიის სისტემის აღდგენა როგორც წარმოებაზე, ასევე იმპორტზე, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაყენება, მისგან კომპენსირების მოთხოვნა და სხვა.**

ისე კი, ალბათ, თუკი ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეში წარმატების მიღწევა გვინდა და ერის მომავლის ჯანმრთელობა გვადარდებს, იქნებ დროა, ახლა მაინც დადგეს დღის წესრიგში ნაკისრ ვალდებულებათა „დაგვიანებული შესრულება“?!

ოთარ ტურაბელიძე

◎ დედაქალაქი

თბილისს აქვს იმის რესურსი, რომ მილიონი ახალი ნერგი დაიტიოს!

უკანასკნელ ხანს ქართულ მედია-სივრცეში ხშირად ისმის კითხვა: რა ღონისძიებებია გასატარებელი დედალაქის მწვანე ფონდის და საჰაერო აუზის გაუმჯობესებისათვის?, რაც ასე აწუხებს საზოგადოებას.

ამ კითხვას დროულად გაეცა პასუხი დედაქალაქის მერის ცნობილი იდეით თბილისში მილიონი ხის დარგვის შესახებ, რომლითაც განაშენიანება-გამწვანებისადმი დიდი ხნით მივიწყებული სახელმწიფოებრივი მიდგომა აღდგა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და თვით გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის, ქ-ნი ნინო სულხანიშვილის ძალზე საინტერესო და იმედისმომცემი განმარტებებით ძირეულად იცვლება თბილისის მწვანე ფონდის შენარჩუნების, მისი შემდგომი განვითარების პრინციპები ერთიან ეკოლოგიურ სისტემაში და ის ძირითადი რეფორმები, რაც ამ კუთხით უკვე მიმდინარეობს, ძალზე დამაიმედებელია.

დაწყებულია სამუშაოები გამწვანება-განაშენიანების ერთობლივ კონცეფციაზე, ძირეული გარდაქმნები მიმდინარეობს მოძველებულ საკანონმდებლო აქტებზე, დღევანდელი მოთხოვნების დონეზე, მთლიანად იცვლება მწვანე ფონდის მოვლით ღონისძიებებზე სახელმწიფოებრივი შეაყიდვების კანონმდებლობა და ნაცვლად დღეს არსებული ერთწლიანი შესყიდვებისა, იგი შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში უწყვეტად იმოქმედებს, რაც საწინდარია ახლად დარგული ხე-მცენარეების შემდგომი შენარჩუნებისა, რადგან ასეთი მცენარეები სამწლიან სწორად წარმართული უწყვეტი აგროღონისძიებების შემდეგ იწყებენ ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ამასთან ერთად, ზუსტდება ხე-მცენარეთა მოვლითი აგრო-ღონისძიებების ჯერადობები და ვადები, მორწყვის ნორმები, მეცნიერ-დენდროლოგების მიერ წარმოდგენილია მერქნიან სახეობათა ასორტიმენტი.

თავდაპირველ კითხვას გამომწვევი კთხვითვე პასუხობენ — **„არის კი ტერიტორიული ერთეულები მილიონი ხის დასარგავად?“** მინდა, გითხრათ და დავამშვიდო თბილისელები, რომ რესურსი არსებობს. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში მერქნიანი სახეობების უმრავლესობამ თითქმის მიაღწია (თბილისის ედაფური და კლიმატური პირობების გამო) მათი ფიზიოლოგიური კვდომის პროცესს (ფიჭვები, ვერხვები, ცაცხვები), ამიტომ თამამად უნდა შევუდგეთ და ხმობადი ეგზემპლარების სანაცვლოდ დავრგოთ 2-3 ძირი იგივე, ან უფრო მაღალდეკორატიული სახეობები, ე.წ. შიდაკვარტალურ გამწვანებულ ტერიტორიებზე, ბაღ-პარკებში, სკვერებში, ზოგიერთი ქუჩის ნარგაობაში, ქარსაფარებში, იმ პირობით, რომ მკაცრად იქნება დაცული საშემოდგომო და საგაზაფხულო რგვების ვადები და ნორმები. ამასთან ერთად აუცილებლად უნდა დაინერგოს სამართლებლივ ნორმებზე მორგებული საკომპენსაციო გამწვანება. საქალაქო სამსახურში ძირეულად იცვლება მწვანე ნარგაობისაგან გათავისუფლების წესი და ეს სამსახური აღარ იქნება ნებართვების გამცემი ბოლო ინსტანცია, არამედ საბრუტო და დეველოპერული ორგანიზაციების მიერ საამშენებლო პროექტების შედგენისას, ამ თვალსაზრისით საკითხებს განიხილავს და ნებართვებს გასცემს სამსახურში შექმნილი კომპეტენტური კომისია.

რაც შეეხება თბილისში ინტენსიურ განაშენიანება-გამწვანებას, აქ ძირითადი სიტყვა უნდა თქვან ჩვენმა წამყვანმა ბიოლოგებმა, ლანდშაფტის არქიტექტორებმა და გამწვანების დარგის პროფესიონალმა აგრონომ-სპეციალისტებმა რაიონულ გამგეობებთან ერთად საქალაქო სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ, რადგან დღევანდელ თბილისს ხე-მცენარეების გარდა საგრძნობლად აკლია დეკორატიულ-დასასვენებელი კუთხეები, ე.წ **„გამწვანებული ჯიბეები“**, სადაც ადამიანს შეეძლება, დროებით შეისვენოს, ეს კი ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო რესურსის და სპეციალისტების გარეშე ძნელად მისაღწევია.

სერიოზული სამუშაოები იგეგმება თბილისის ქუჩების, ბაღ-პარკების, სკვერების მავნე ენტომოფაუნის სალიკვიდაციოდ, მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მუდმივი მონიტორინგით და მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებით, რომლებიც საგრძნობლად შეამცირებს მცენარეთა დაავადებებს, ამასთან ერთად, ქიმიური მეთოდების გარდა, გამოიყენება ბიოლოგიური მეთოდებიც.

მე არ ვარ უფლებამოსილი პირი, მოგაწოდოთ ყველა ის ინფორმაცია და ღონისძიება, რომელიც დასახულია მერიის, საკრებულოსა და ქალაქის გამწვანების სამსახურის მიერ, მაგრამ ამ წერილში მოყვანილი ფაქტებიც მეტად დამაიმედებელია.

დავრგოთ მილიონი და უფრო მეტი მერქნიანი ხე-მცენარე, ბუჩქი, ყვავილი და შევიყვაროთ თბილისი.

ილია (ილო) ფალავანდიშვილი,
დამოუკიდებელი ექსპერტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

უცხოური ინვესტიცია – დახმარება თუ ძარცვა?!

ამ სტატიის მიზანია, დავანგრიოთ მითი უცხოური ინვესტიციების „ყოვლისშემძლეობის“ შესახებ, ვიფიქროთ ქვეყნის შენებაზე საკუთარი ძალებით, შესაძლებლობებით და არ მივუგდოთ იგი უცხოელ მძარცველებს სათარეშოდ და საძარცვად.

დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი საფრთხის წინაშეა, მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე თანამედროვე უცხოური ინვესტიციებია. თუმცა, ეს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს ქვეყნებისთვის ყველაზე დიდი საფრთხეა!

ამ სიტყვების სამართლიანობაში წინამდებარე სტატიაც დაგარწმუნებთ, რომელიც ხანგრძლივი დროის კვლევების შედეგია – ნახავთ იმას, თუ როგორ ვანგრევთ ჩვენს ქვეყანას ჩვენივე ხელით – ჩვენ თვითონვე როგორ ხელს ვუწყობთ საკუთარი მოსახლეობის ეკონომიკურ გენოციდს.

დიდი ხანია, ეკონომიკურ პრობლემებს ვიკვლევ. მრავალ სხვა საკითხთან ერთად, წლების წინათ, ინვესტიციების შესწავლაც დავიწყე. თავიდან მაინტერესებდა, **სად და რომელ ქვეყნებში ახდენდა ინვესტორი ფინანსური რესურსების ინვესტირებას.**

კვლევამ დამარწმუნა, რომ **უცხოელი ინვესტორები საქართველოში მრავალჯერ უფრო იაფად ყიდულობდნენ უძრავ ქონებას, ვიდრე მისი რეალური საერთაშორისო ფასი იყო.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ უცხოელი ინვესტორები ყიდულობდნენ მხოლოდ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს – ობიექტებს, რომელთა პროდუქციასაც გარანტირებული 100-პროცენტიანი რეალიზაცია და გარანტირებული მოგება აქვს, იწყებდნენ ბიზნესებს, რომლებსაც ძალიან მცირე ფინანსური რესურსი სჭირდება და ყოველწლიურად სოლიდური მოგება მოაქვს!

ასე მაგალითად, „თელასის“ პრივატიზაციის შესწავლის დროს საოცარი ფაქტები აღმოვაჩინე – ეს სტრატეგიული ობიექტი უცხოელმა ინვესტორმა, პრაქტიკულად, მუქთად ჩაიგდო ხელში. მეტიც, ერთ წელიწადში ჩადებული თანხა სამმაგი მოგებით ამოიღო. როცა შევარდნაძის მთავრობას უცხოელი ინვესტორის მოქმედებები არ მოეწონა და ქვეყნიდან გასვლა მოსთხოვა, ამის სანაცვლოდ უცხოელმა ინვესტორმა 2,0 მილიარდი დოლარი მოითხოვა, ანუ 80-ჯერ მეტი, ვიდრე ჩადებული თანხა ჰქონდა..

ჯერ კიდევ მაშინ, მე-20 საუკუნის ბოლოს, სერიოზული ეჭვები გამიჩნდა ინვესტიციების „სიკეთეში“, არადა, პრესა, ტელევიზია, მთავრობა, ექსპერტები, ეკონომისტები... ყველა საუბრობდა იმაზე, თუ როგორ მოგვეზიდა ქვეყანაში უცხოელი ინვესტორები. ასეთი **ეიფორიის ვითარებაში, აზრადაც არ მომსვლია, თუ რა უბედურების მომტანია ასეთი „კაპიტალდაბანდება“ ჩვენნაირ ქვეყანაში.**

ფაქტია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ინვესტორებს სასათბურე პირობები შეუქმნეს – ჩვენს ლექსიკაში გაჩნდა ახალი ტერმინი „საინვესტიციო გარემო“. ყველაფერი კეთდებოდა საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად – უცხოური კაპიტალით შექმნილი კომპანიები სხვადასხვა გადასახადებიდან გაანთავისუფლეს.

ახლა, მაშინდელ პერიოდს რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები იმაში, თუ როგორ შეიძლება ქვეყანა დავლუპოთ დაუფიქრებლად და აბსოლუტურად გაუაზრებელი მოქმედებებით, აბსოლუტურად ფანატური დოგმებით და საყოველთაოდ აღიარებული სისულელეებით... თუმცაღა დღესაც იგივე გრძელდება – თითქმის არაფერი შეცვლილა.

როგორც ზემოთ ვთქვი, უცხოელი ინვესტორები ყიდულობდნენ სტრატეგიულ ობიექტებს, რომელთა პროდუქციაც გარანტირებულად მთლიანად იყიდება – ფულს დებდნენ იმ საქმეებში, სადაც კონკურენცია ან მინიმალურია, ან საერთოდ არ არის. ინვესტირებას ახდენდნენ (და ახდენენ) ისეთ საქმიანობაში, სადაც დიდი ფული არ სჭირდება, მაგრამ სოლიდური ყოველწლიური მოგება მოაქვს.

შედეგი? უცხოური ინვესტიციების წყალობით ქვეყნის ქონებას და ბუნებრივ სიმდიდრეებს ვკარგავდით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია შემოდიოდა, ეს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე არანაირად არ აისახებოდა. პირიქით, რაც უფრო იზრდებოდა ინვესტიციების მოცულობა, მით უფრო მატულობდა პროდუქციის ფასები და მოსახლეობის მცირე პროცენტის გარდა, დიდი ნაწილი უფრო ღარიბდებოდა!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეროვნული ვალუტის – ლარის კურსი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში და ინფლაცია გახდა მთავარი ფაქტორები, რის გამოც მოსახლეობა ღარიბდებოდა – მათი ცხოვრების პირობები ყოველწლიურად უარესდებოდა და მძიმდებოდა. ასეთი ვითარებები ადრეც იყო, მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უფრო გამძაფრდა და გამოკვეთილად თვალშისაცემი გახდა.

ცხოვრების პირობების გაუარესება 25 წელია, მიმდინარეობს, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც კატასტროფა, ქვეყნის დაღუპვაა. ჩემი აზრით, ჩვენ ამ ზღვართან უკვე ძალიან ახლოს ვიმყოფებით, უფრო სწორად, ამ ზღვარზე ვართ!

არ ვაჭარბებ: არსებული ვითარების გართულებამ შეიძლება შეუქცევადი კატასტროფული შედეგები გამოიღოს. ამ ვითარების მთელი ტრაგედია იმაშია, რომ ამას ვერ ხვდებით ან ვხვდებით და არაფერს ვაკეთებთ თავიდან ასაცილებლად.

თუ ხატოვნად ვიტყვით, **დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, ოკეანეში დაძრულ იმ ცუნამს ჰგავს, რომელიც სანაპიროს წალეკვით ემუქრება, მაგრამ სანაპიროს მცხოვრებლებმა არაფერი იციან ამის შესახებ.**

უცხოური ინვესტიციები ზუსტად ასეთი „ცუნამია“ ჩვენი და ჩვენნაირი ქვეყნების ეკონომიკებისთვის.

სამი წლის წინათ ეროვნულ ვალუტასთან, ლართან დაკავშირებული პრობლემების შესწავლისას (როცა დავიწყე იმ ფაქტორების კვლევა), საოცარი რამ აღმოვაჩინე: მე-19-მე-20 საუკუნეების უცხოური ინვესტიცია აბსოლუტურად განსხვავდება 21-ე საუკუნის ინვესტიციებისგან. მე-19-მე-20 საუკუნეში უცხოური ინვესტიციის ყოველი მილიონი დოლარი ასობით, ზოგჯერ კი ათასობით სამუშაო ადგილს ქმნიდა. შემოსული ინვესტიციების მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულების დიდი ნაწილი ქვეყანაში რჩებოდა. ამასთან ერთად, გარკვეული თანხა მიდიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების სახით, რომელიც ასევე ქვეყანაში რჩებოდა, ქვეყნიდან კი მხოლოდ მცირე ნაწილი – ინვესტორის მოგება გადიოდა.

21-ე საუკუნეში, თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების პირობებში, ვითარება სრულიად შეიცვალა. წარმოების პროცესები მთლიანად, ან უდიდესი ნაწილი ავტომატიზირებული გახდა და ძალიან მცირე ოდენობის ადამიანები პოულობენ საქმეს! წარმოებაში, სადაც წინათ რამდენიმე ათასი მუშა იყო დასაქმებული, დღეს რამდენიმე ათეული ოპერატორი მუშაობს. **მე-20 საუკუნის ბოლოს გამოჩდნენ „მოაზროვნე მანქანები“, რომლებმაც შესაძლებელი გახადა საწარმოო პროცესების კონტროლი და ამ პროცესებში ადამიანის სრულად ჩანაცვლება, ანუ ადამიანის შრომის საწარმოო პროცესებიდან სრული გამოდევნა.**

თანამედროვე ცივილიზაციისა და „მოაზროვნე მანქანების“ პირობებში დასაქმება „მიზერულია“. აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები დასაქმების კუთხით აბსოლუტურად არაეფექტურია და არაფერს არ ცვლის, პირიქით, აუარესებს კიდეც – **არსებული ტექნოლოგიების ახალი ტექნოლოგიებით ჩანაცვლების შედეგად უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის სახით.**

ამრიგად, ის ხიბლი, დიდი პლიუსი და უპირატესობა, რაც მე-19-მე-20 საუკუნეებში უცხოურ ინვესტიციებს ჰქონდა, „დასაქმება“ იყო, რომელიც თანამედროვე 21-ე საუკუნის ინვესტიციებს არ გააჩნია.

* * *

ახლა კი საკუთარ ვალუტას დავუბრუნდეთ – ლართან დაკავშირებული პრობლემების შესწავლისას, კიდევ ერთი საოცარი რამ აღმოვაჩინე: **უცხოური ინვესტიციები ლარის კურსზე დადებითად მოქმედებს ერთჯერადად, მხოლოდ შემოსვლის მომენტში. რაც შეეხება უარყოფითს, გააჩნია უსასრულოდ მრავალჯერადი უარყოფითი მოქმედება, რომელიც ყოველწლიურად ვლინდება უცხოელი ინვესტორის მიერ ქვეყნიდან მოგების გატანის დროს.** აქ უკვე აშკარად და ღიად გამოჩნდა უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მოქმედება!

დადგინდა ისიც, რომ **ინვესტიციების ყოველწლიური მოგების სიდიდე და ამოღების პერიოდი ერთმანეთთან კავშირშია – რაც უფრო მცირეა ამოღების პერიოდი, მით უფრო დიდია უცხოელი ინვესტორის წლიური მოგება და ინვესტორის მიერ ყოველწლიურად ქვეყნიდან გასატანი ვალუტის მოცულობა.**

უცხოური ინვესტიციის ქვეყნის ეკონომიკაზე და ეროვნულ ვალუტაზე უარყოფითი მოქმედება მით უფრო ძლიერია და **ქვეყნისთვის უცხოური ინვესტიციები მით უფრო საშიშია, რაც უფრო მცირეა ამოღების პერიოდი!!!**

აქ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ინვესტიციის ამოღების პერიოდი და ინვესტიციის ქვეყნიდან გატანა. ინვესტიციის ამოღების პერიოდი ესაა ინვესტიციის ტოლფასი ფულადი თანხის მოგების სახით მიღება. ინვესტიციის ქვეყნიდან გატანა კი ინვესტორის ქვეყნიდან წასვლას და ქვეყანაში ჩადებული მთლიანი კაპიტალის გატანას ნიშნავს!

უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ინვესტორებს ამოაქვთ ერთ წელიწადში, ანუ ყოველწლიური მოგება ასეთი ინვესტიციების შემთხვევაში 100 %-ზე მეტი სამნიშნა ციფრია.

დიახ, როგორც „წესი“, ინვესტიციების უდიდესი ნაწილის ამოღება ხდება 1-3 წელიწადში!

ეკონომისტებო, ფინანსისტებო, ექსპერტებო, წაიკითხეთ ეს წერილი და გამოგვეხმაურეთ!

ყველაზე უჩინარი და ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ქვეყანას ემუქრება!

ანალიზი აჩვენებს, რომ ასეთი ინვესტიციები მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ნგრევას და მოსახლეობის გაღატაკებას უწყობს ხელს!!!

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტში შედის გარკვეული თანხები, ქვეყნის და მოსახლეობის მდგომარეობა იმდენად მძიმდება, რომ მრავალჯერ უფრო დიდი თანხა არ გვეყოფა მისი კომპენსირებისთვის. ერთი სიტყვით, ბიუჯეტის შევსებისას მნიშვნელოვანია, რის ფასად ხდება იქ თანხების აკუმულირება?!

სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებების მთავარი მიზანი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაა და არ აინტერესებთ, რის ფასად!!!

როგორც ვთქვი, უცხოური ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაზე დადებითად მოქმედებს ერთჯერადად, მხოლოდ შემოტანის დროს. იმისათვის, რომ ადრე შემოსული ინვესტიციების უარყოფითი მოქმედება განეიტრალდეს, საჭიროა ახალი ინვესტიცია, რომლის მოცულობა ტოლი უნდა იყოს ადრე შემოსული ინვესტიციებით მიღებული მოგების (ქვეყნიდან გასატანი ვალუტის) სიდიდისა.

ამ პროცესში რომ კარგად გავერკვეთ, მოვიყვანოთ მაგალითი: დავუშვათ, ქვეყანაში ყოველწლიურად შემოვიდა 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია, ამოღების პერიოდი ვთქვათ სამი წელია, ანუ წლიური მოგება დაახლოებით 33,33 %. ეს პროცესი ამ ცხრილშია მოყვანილი.

დრო წლებში	უცხოური ინვესტიციის მიმდინარე შემოსავალი	უცხოური ინვესტიციის მთლიანი მოცულობა	ყოველწლიურად გასული მოგება	ნაშთი წინა პერიოდის ჩათვლით	გატანილი ვალუტა	ინვესტიციის ეკონომიკაზე მოქმედება
1	2	3	4	5	6	7
1.	1,5	1,5	0,5	1,0	0,5	1,0
2.	1,5	3,0	1,0	1,5	1,5	1,5
3.	1,5	4,5	1,5	1,5	3,0	1,5
4.	1,5	6,0	2,0	1,0	5,0	1,0
5.	1,5	7,5	2,5	0	7,5	0
6.	1,5	9,0	3,0	0	10,5	-1,5
7.	1,5	10,5	3,5	0	14,0	-2,0
8.	1,5	12,0	4,0	0	18,0	-2,5
9.	1,5	13,5	4,5	0	22,5	-3,0
10.	1,5	15,0	5,0	0	27,5	-3,5
11.	0	15,0	5,0	0	32,5	-5,0
12.	0	15,0	5,0	0	37,5	-5,0
13.	0	15,0	5,0	0	42,5	-5,0
14.	0	15,0	5,0	0	47,5	-5,0
15.	0	15,0	5,0	0	52,5	-5,0

(ცხრილის I სვეტში მოცემულია წლები, მე-2 სვეტში ინვესტიციების საშუალო ოდენობა, რომელიც ყოველწლიურად შემოდის ქვეყანაში, მე-3 სვეტში ნაჩვენებია უცხოური ინვესტიციის მთლიანი მოცულობა წლების მიხედვით, მე-4 სვეტი აჩვენებს ყოველწლიურად ქვეყნიდან გატანილ უცხოურ ვალუტას, მე-5 სვეტი — ინვესტიციებიდან დარჩენილ ნაშთებს, მე-6 სვეტში ნაჩვენებია ქვეყნიდან გატანილი ვალუტის მთლიანი რაოდენობა წლების მიხედვით, მე-7 სვეტი წარმოდგენას გვაძლევს უცხოური ვალუტის ადგილობრივ ეკონომიკაზე, მოქმედების დადებით და უარყოფით შედეგებს წლების მიხედვით).

ცხრილიდან კარგად ჩანს ივნვესტიციის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე. მე-3 სვეტში ნაჩვენებია ინვესტიციების ჯამური მოცულობა, რომელიც 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოვიდა. იგი 15,0 მილიარდი დოლარია. მე-6 სვეტში კი ვხედავთ, რომ იმავე პერიოდში (10 წელიწადში) ქვეყნიდან გასული ვალუტის ჯამური ოდენობა 27,5 მილიარდი დოლარის ტოლია. ხოლო, 15 წლის განმავლობაში ქვეყნიდან გატანილი უცხოური ვალუტა 52,5 მილიარდი დოლარს შეადგენს, ე.ი. ქვეყნიდან გადის 3,5 ჯერ მეტი უცხოური ვალუტა, ვიდრე შემოდის.

ცხრილი წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, რომ 4 წლის შემდეგ უცხოური ინვესტიციის დადებითი მოქმედება ჩერდება. ამავე დროს, ყოველი ახალი ინვესტიცია კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას (არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ყოველი ახალი ინვესტიციის ქვეყანაში შემოსვლისას ქვეყანა ქონების მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს, რომელიც ინვესტორის საკუთრებაში გადადის)!

დასკვნა მარტივია: **ასეთ უცხოურ ინვესტიციებს საერთოდ არანაირი დადებითი ეფექტი არა აქვს. პირიქით, იგი ანგრევს ქვეყნის მთელ ეკონომიკას, უფრო ზუსტად, მიწასთან ასწორებს, ხოლო მის მოსახლეობას აღატაკებს!**

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, **უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებენ ეროვნულ ვალუტაზე და განაპირობებენ მის ყოველწლიურ დევალვაციას.**

უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მოქმედება მით უფრო ძლიერია და დამანგრეველია, რაც უფრო მოკლევადიანია ინვესტიცია.

რა შეიძლება ითქვას გრძელვადიან ინვესტიციებზე?

ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი გრძელვადიან ინვესტიციას დებს იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის მოცულობა დიდია, ხოლო, ქვეყნის ეკონომიკა სტაბილური. ეს მცირე ქვეყნებისთვის დროში გადატანილი ნგრევის პროცესია.

იმისათვის, რომ უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მოქმედება განეიტრალდეს, ყოველწლიურად საჭიროა, ქვეყანაში შემოვიდეს იმ მოცულობის ინვესტიცია, რომელიც თავის რაოდენობით გადაფარავს ადრე შემოტანილი და მიმდინარე ინვესტიციებით გასატანი მოგების ოდენობას.

თუმცა, ეს არის „ინვესტიციური პირამიდა“, რომელიც საბოლოოდ ინგრევა და კატასტროფული შედეგებით მთავრდება. ზუსტად იგივე დაემართება უცხოური ინვესტიციებით შექმნილ პირამიდას ქვეყნისთვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგებით.

თუ ადგილობრივი ძალებით ქვეყანა პროდუქტს ვერ ქმნის, თანამედროვე უცხოური ინვესტიციებით პროდუქციის შექმნას, მისი იმპორტით შემოტანა სჯობს!.

რატომ?

იმიტომ, რომ თუ უცხოური ვალუტა შეგვიმცირდა, ან ქვეყანაში აღარ შემოდის, იმპორტი შემცირდება, ან აღარ შემოვა. როცა უცხოური ინვესტიციით პროდუქციას ვაწარმოებთ, მოგება მაინც გასატანი იქნება ქვეყნიდან და ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციის უარყოფითი მოქმედება მაინც გარდაუვალია.

ქვეყნისთვის ცალკე კატასტროფაა, როცა უცხოური ინვესტიციები, მიზეზთა გამო (რომელიც წინასწარ არ არის ცნობილი), მასიურად გააქვთ ქვეყნიდან. როცა უცხოური ინვესტიციები ქვეყანას ტოვებს, კარგია, მაგრამ ცუდია ის დამანგრეველი შედეგები, რასაც უცხოური ინვესტიციები ქვეყნიდან გასვლის მომენტში და გასვლის შემდეგ ტოვებს.

ასეთ შემთხვევებში ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე წარმოიშობა კოლოსალური მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, ასეთ ზეწოლას კი არამც თუ სუსტი ქვეყნების ეკონომიკა, ძლიერი ქვეყნების ეკონომიკებიც ვერ უძლებენ!

რომ დავრწმუნდეთ იმაში, ქვეყნის რა დონის ძარცვასთან გვაქვს საქმე, მოვიყვანოთ პატარა შედარება: ადამიანმა იყიდა სახლი, გადაიხადა მაგალითად 50 000 დოლარი. ყველაზე დიდი შემოსავალი, რაც სახლის გაქირავებით შეიძლება მიიღოს 3000-3600 დოლარია (მაქსიმუმ 300 დოლარი თვეში). ანუ ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივმა ადამიანმა განახორციელა, წელიწადში მაქსიმუმ 7,2% მოგებას იძლევა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციის ამოღების პერიოდი 14 წელია.

ჩვენ თვალნათლად ვაჩვენეთ ის, თუ რა იწვევს ქვეყნის ნგრევას და მოსახლეობის ეკონომიკურ გენოციდს. თვალნათლივ ჩანს ისიც, თუ რატომ ვერ ვაჩერებთ ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესს.

და ბოლოს: ამ სტატიის მიზანია, დავანგრიოთ მითი უცხოური ინვესტიციების „ყოვლისშემძლეობის“ შესახებ, ვიფიქროთ ქვეყნის შენებაზე საკუთარი ძალებით, შესაძლებლობებით და არ მივუგდოთ იგი უცხოელ მძარცველებს სათარეშოდ და საძარცვად.

და კიდევ: საჭიროების შემთხვევაში უცხოეთიდან უნდა მოვიზიდოთ და ეკონომიკაში დავაბანდოთ დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი უცხოური კრედიტები, რომელთა ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი მოქმედება მრავალჯერ უფრო ნაკლებია (ყოველწლიურად 1,5 მილიარდი დაბალპროცენტიანი უცხოური კრედიტის მოზიდვის და 10 წელიწადში 15,0 მილიარდი დოლარის შემთხვევაში ყველაზე დიდი თანხა, რასაც ქვეყანა 15 წლის განმავლობაში კრედიტზე გადახდილი პროცენტის სახით დაკარგავს, 5-7 მილიარდი დოლარი იქნება, ანუ საშუალოდ წელიწადში 0,33-0,45 მილიარდი. კრედიტის სრულად გასტუმრების შემდეგ კი აღარაფერი იქნება გასატანი, ანუ კრედიტის მოქმედება მხოლოდ დროებითია!).

დიახ, თუ უცხოური კრედიტები ქვეყნის ეკონომიკაში ჭკვიანურად იქნა განთავსებული და რეალური პროდუქტის შექმნას მოემსახურება, მაშინ, მათი დადებითი მოქმედება მრავალჯერ მეტი იქნება, ვიდრე, მისი უარყოფითი შედეგები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოური კრედიტები ნულოვანი და უარყოფითი ეკონომიკური ეფექტითაც კი ბევრად ნაკლებ ზარალს აყენებს ქვეყანას, ვიდრე უცხოური ინვესტიციები!!!

ნასყიდა დარბუაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი

მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი თბილისში

პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტს სირილ მიულერს შეხვდა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს გააცნო მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმა და 2017 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები.

აღინიშნა, რომ 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების და კერძო ინვესტიციების წახალისებისათვის საქართველომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მოგების გადასახადის რეფორმის სახით, რაც კერძო სექტორს აძლევს საშუალებას მათი მიღებული მოგება, გადასახადების ნაცვლად მიმართონ ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (დაახლოებით 800 კმ გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ხიდები, გვირაბები, აეროპორტები, საკურორტო ზონების მოწყობა-განვითარება და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამასთან, აღნიშნული რეფორმების განსახორციელებლად, ქვეყნის ფისკალური სტაბილურობის და სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ბიუჯეტში დამატებითი რესურსების მოძიება. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერა როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, აგრეთვე მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების განხორციელების მიმართულებით.

◎ მითქმა-მოთქმა თუ...

ავტობიზნესი მორიგი კრიზისის მოლოდინშია!..

ავტომობილებზე აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა არ წყდება. ბიზნესმენები ამბობენ, რომ ავტოიმპორტს სერიოზული საფრთხე ემუქრება. როგორ განვითარდება მოვლენები იანვრიდან, ამის პროგნოზირება ყველას უჭირს და მათი პროგნოზიც ერთმანეთისგან განსხვავებულია.

„ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დამფუძნებელი **ირაკლი გურჩიანი** აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომელიც მანქანებზე აქციზის გადასახადის ზრდას გულისხმობს, საავტომობილი ბიზნესს გააკოტრებს. გურჩიანის შეფასებით, ეს დამოკიდებულია იმაზე, აქციზი რამდენით გაიზრდება. თუ ეს მცირე დოზით მოხდა, ამას უარყოფითი გავლენა არ ექნება, მაგრამ თუკი ზრდა თუნდაც 20 პროცენტით მოხდა, მაშინ ეს ბიზნესის ხელმეორედ მკვლელობა იქნება.

„ანალოგიური მოხდა 2000 წელს, როდესაც ნოღაიდელმა იმის იმედით, რომ ბიუჯეტში ბევრი ფული შეუვიდოდა, აქციზი გაზარდა. მაშინ ეს ბიზნესი, 2003 წლამდე აბსოლუტურად მკვდარი იყო. იგივე მოხდება დღესაც“, — აცხადებს გურჩიანი.

მისი თქმით, ხელისუფლება ამას იმიტომ თუ აკეთებს, რომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში ჰიბრიდული და ელექტროავტომობილების შემოყვანა-გაყიდვას, გამართლებული არ არის. როგორც გურჩიანი აცხადებს, საქართველო არ არის მზად არც ჰიბრიდული ავტომანქანებისთვის და მით უმეტეს არც ელექტროავტომობილებისთვის.

„ჰიბრიდული მანქანა, საშუალოდ, 30 000 დოლარი ღირს, მისი ეკვივალენტი მანქანა, ზომით, წონით და ტექნიკური მახასიათებლებით, რომელიც ბენზინს წვავს, ღირს 14 000 დოლარი. ნებისმიერი ქართველი ადამიანისთვის 30 000 დოლარი ძალიან ბევრია. ჩვენი ქვეყანა ამისთვის მზად არ არის“, — აცხადებს გურჩიანი „კომერსანტთან“ საუბრისას.

სხვა მოსაზრებისაა mycar.ge-ს დირექტორი **დავით რეხვიაშვილი**. მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება ქვეყანაში ჰიბრიდული ავტომობილების შემოყვანას შეუწყობს ხელს, რაც შეეხება სხვა ტიპის ავტომობილებს, რომელზეც აქციზის განაკვეთი გაიზრდება, ეს ფასზე აუცილებლად აისახება.

„აქციზის ზრდა, რა თქმა უნდა, ავტომობილების ფასზე იმოქმედებს და, შესაბამისად, იმპორტირებული ავტომობილების რიცხვს შეამცირებს, თუმცა ვფიქრობ, ეს მთლიან ტენდენციაზე არ აისახება, რადგან ჰიბრიდული ავტომობილებით ჩანაცვლება მოხდება“, — განაცხადა რეხვიაშვილმა.

„თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი **გიორგი მშვილდაძე** ამბობს, ძირითადად, პრობლემა ძველ ავტომობილებს შეექმნებაო.

„ჩემი აზრით, ახალ 2-3-წლიან ავტომანქანებზე აქციზის გადასახადი არ უნდა გაიზარდოს, ძველი მანქანები კი პრობლემაა. ასე თავისუფლად ძველი ავტომობილები არ უნდა შემოდიოდეს. ძალიან ბევრ ქვეყანაში ძველი ავტომანქანების იმპორტი ასე თავისუფლად ვერ ხდება“, — აცხადებს მშვილდაძე.

მისივე ინფორმაციით, საავტომობილო ბიზნესთან მთავრობას წინასწარი კონსულტაცია ამ საკითხზე არ გაუვლია. მიუხედავად ამისა, თუ აქციზი გონიერების ფარგლებში, წინასწარ ჩატარებული კვლევის შედეგად გაიზრდება, ბიზნესისთვის ეს მისასალმებელი იქნება.

ბექა დანელია

მსოფლიოს ამბები

ხმელთაშუა ზღვაში რუსული ავიაგამანადგურებელი ჩამოვარდა

სუ-33 ტიპის ავიაგამანადგურებელმა ხმელთაშუა ზღვაში ავიამზიდ „ადმირალი კუზნეცოვზე“ დაშვებისას კატასტროფა განიცადა. ინფორმაცია რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა. უწყების ინფორმაციით, მფრინავმა კატაპულტირება მოასწრო და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რუსეთი აშშ-სთვის მთავარი საფრთხეა

რუსეთი ვაშინგტონისთვის ნომერი პირველი საფრთხეა. ამის შესახებ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მდივანმა დებორა ჯეიმსმა სააგენტო როიტერისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ჩვენს წინაშე მთელი რიგი საფრთხეებია, თუმცა რუსეთმა თავისი ბირთვული პოტენციალის გამო შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის არსებობას საფრთხე შეუქმნას,“ — აღნიშნა ჯეიმსმა.

გერმანიაში ავღანელმა ლტოლვილმა 19 წლის გოგონა მოკლა

გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელი ავღანელი ახალგაზრდა დააკავეს. მას ბრალად 19 წლის გოგონას მკვლელობა ედება. ევროკომისიის მაღალჩინოსნის ქალიშვილი მარია ლადენბურგერი ლტოლვილთა ბანაკში მუშაობდა. მისი ცხედარი 16 ოქტომბერს ფრაიბურგში აღმოაჩინეს. როგორც წინასწარი ძიებით გაირკვა, გოგონა ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი მდინარეში გადააგდეს. ეჭვმიტანილმა დანაშაული უკვე აღიარა.

წყალდიდობამ ესპანეთში ერთი ადამიანი იმსხვერპლა

ძლიერი წყალდიდობაა ესპანეთში. ხანგრძლივმა სეზონურმა წვიმამ ქვეყნის სამხრეთ რაიონებში მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც ათობით დასახლებული რაიონი დაიტბორა. „ყველაზე დიდი ზარალი სტიქიამ კოსტა დელ სოლის რაიონს მიაყენა, სადაც წყლის საფარის სიმაღლემ ერთ მეტრს გადააჭარბა. ვრცელდება ინფორმაცია მსხვერპლის შესახებაც. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, სტიქიამ 26 წლის ქალბატონი იმსხვერპლა.

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი გადადგა

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი ყველასათვის მოულოდნელად პოსტიდან გადადგა. საგანგებო განცხადება ჯონ კიმ გვიან ღამით გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. გადადგომის მიზეზად პრემიერმა ოჯახური პრობლემები დაასახელა. ახალი ზელანდიის მთავრობას ჯონ კი 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ჩრდილოეთ დაკოტაში ნავთობსადენის მშენებლობა შეაჩერეს

ჩრდილოეთ დაკოტაში ნავთობსადენის მშენებლობა აქციების გამო შეჩერდა. ფედერალური ხელისუფლება მზადაა მილსადენის ალტერნატიული მარშრუტი განიხილოს. საპროტესტო აქციები ჩრდილოეთ დაკოტაში რამდენიმე თვე გრძელდებოდა. თავდაპირველად დემონსტრაციებში ძირითადად ინდიელები და გარემოს დამცველები მონაწილეობდნენ. მოგვიანებით კი მათ ცნობილი მსახიობები და ვეტერანებიც შეუერთდნენ.

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული თავისუფალი ფართების, იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში) გადაცემის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281, მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ ქ. ზესტაფონში, თამარ მეფის ქ. №77-ში მდებარე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მასზე განთავსებულ ქონებასთან ერთად გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281, მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული რიცხული 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების 25%-ანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281, მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის 25%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281, მობილურის 577 240-233

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის №1-1/649 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი – წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქარესნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2-ზოლიანი თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I-III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 – კმ 10+800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4-ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 – კმ 10+800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის №1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ. 2016 წლის 21 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/649 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე).

თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შოთა კეზერაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.03.12.165 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი – 200 კვ.მ. მის. ქ. თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, მარჯვენა მხარეს.

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ 110კვ ეგხ „თონეთი-2“-ს №357 ანძის გადატანის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ.№7;

საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო: 2016 წელი, 26 იანვარი, 15:00 სთ.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 110კვ ეგხ „თონეთი -2“-ს №357 ანძის გადატანა;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისის ტერიტორია.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 2016 წლის 20 იანვრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ.2. საკონტაქტო პირები: თინათინ ჟიჟიაშვილი, ტელ: 577380113, ელ. ფოსტა: tinatin.zhizhiashvili@gse.com.ge ირაკლი ჯინორია, ტელ: 577381111 ელ. ფოსტა: irakli.jinoria@gse.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.2;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისი, შარტავას ქ.№7;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

- **ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია** – მეცნიერ-თანამშრომელი 1 ერთეული „ა“ კატეგორია;
- **ბიოინფორმატიკის ლაბორატორია** - მეცნიერ თანამშრომელი 1 ერთეული „ბ“ კატეგორია.

მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (სტატიები, თეზისები);

კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2017 წლის 09 იანვრიდან 2017 წლის 12 იანვრის ჩათვლით;

კონკურსის ჩატარების თარიღია 2017 წლის 13 იანვარი;

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქ. №14, II სართული, კანცელარია.

საკონტაქტო პირი – მარიამ ირემაშვილი, ელმირა მეგედი, ნინო ემუხვარი;

e-mail – secretary@lifescience.org.ge;

ტელ: 2 37 12 31, 2 37 11 65, 2 37 11 78.

2017 წლის 25 იანვარს, 12 საათზე ქ. თბილისში, ნ. რამიშვილის №5-ბ შპს „ლ. ენდ ლ“-ის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება შპს „ლ. ენდ ლ“-ის კუთვნილი ასფალტის წარმოების (ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, ქ. თბილისის შემოსასვლელი გზის მე-13 კმ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

– ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის №30, ბ-1, „ლ. ენდ ლ“, ტ: 5 99 600 600.

– ქ. თბილისი, შარტავას №7, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის გამოცხადებიდან 45 დღე.

– საკონტაქტო პირი: ბესარიონ მარშანია. ტ. 5 99 600 600.

შპს „ლ. ენდ ლ“-ს ადმინისტრაცია.

განცხადება

2017 წლის 27 იანვარს, 14 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ №7) გაიმართება შპს „გიო და კომპანია“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: ქ. ჭიათურაში 26 მაისის ქუჩა №7-10-ში მდებარე, შპს „გიო და კომპანია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;
- შპს „გიო და კომპანია“-ს ოფისში – ქ. ჭიათურა, 26 მაისის ქუჩა №7-10;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27. ელ. ფოსტა: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „გიო და კომპანია“-ს ადმინისტრაცია

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ძალოსნობა

დებიუტი - „ბრინჯაოებით“

გიორგი დოკვაძე

ახალგაზრდა და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს ეილათი (ისრაელი) მასპინძლობს. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი მალხაზ ლომთაძე, მწვრთნელები — ილია თვალოძე, გიორგი გაბრიჭიძე) შეჯიბრებაში 13 სპორტსმენით ჩაება. ასპარეზობის პირველ დღეს 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველთაგან ფიცარნაგზე გიორგი დოკვაძე ავიდა, რომელმაც ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა და ორჭიდში 223 კილოგრამით (99+124) მე-4 ადგილი დაიკავა. გიორგიმ აკვრაში დაძლეული 124 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა — მას უკრაინელმა დმიტრო ვორონოვსკიმ (128 კგ) და ბრიტანელმა ლეონ შედლერმა (126 კგ) აჯობეს. მრავალჭიდში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დმიტრო ვორონოვსკი (უკრაინა) — 233 (105+128), 2. ისა გუნგორი (თურქეთი) — 229 (106+123), 3. ქანან ხალილოვი (აზერბაიჯანი) — 228 (110+118).

62 კილოში თავი გამოიჩინა გოდერძი ბერდელიძემ. 20-წლამდელებში მან ატაცსა (121 კგ) და ორჭიდში (263 კგ) მესამე ადგილები დაიკავა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. სტილიან გროიზდევი (ბულგარეთი) — 278 (126+152), 2. ფერდი ჰარდალი (თურქეთი) — 273 (126+147), 3. გოდერძი ბერდელიძე (საქართველო) — 263 (121+142).

10 დეკემბრამდე ჩემპიონატში ქართველთაგან მედლებისთვის იბრძოლებენ: **ახალგაზრდებში** — გოგა ჩხეიძე (69), რევაზ დავითაძე (85), დავით ხეცურიანი (105), ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ჩხეიძე (105), ახალგაზრდებსა და ქალებში ევროპის ვერცხლის პრიზიორი ანასტასია გოტფრიდი (+75); **23-წლამდელებში** — რამინ შამილიშვილი (62), შოთა მიშველიძე (62), თათია ლორთქიფანიძე (63), თორნიკე თოდაძე (69), ირაკლი გაბრიჭიძე (77), ლონგინოზ ბრეგვაძე (94), რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, უფროსებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი ლაშა ტალახაძე (+105).

ლაშა დიდია

გოდერძი ბერდელიძე

ფარიკაობა

სეზონი მოხმალავეებმა დიორში გახსნეს


სანდრო ბაზაძე

გასულ უქმეებზე უნგრულმა დიორმა ხმლით მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის პირად-გუნდურ გათამაშებას უმასპინძლა. 2016 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს იყო პირველი სერიოზული ტურნირი, ამიტომ მადიარების ქვეყანაში 30-ზე მეტი ქვეყნის 183-მა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. შეჯიბრებაში ხუთი ქართველი მოფარიკავეც (სანდრო და ბექა ბაზაძეები, ნიკა შენგელია, საბა სულამანიძე და ვაჟა რეჭია, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) მონაწილეობდა. გუნდურ პირველობაში 19 ქვეყნის ნაკრები ჩაება. ქართველმა მოხმალავეებმა სტარტზე იტალიელთა უძლიერესი გუნდთან წააგეს — 21:45. აპენინელებმა შემდეგ გერმანია (45:32), რუსეთი (45:41), კორეა (45:40) ჩამოიშორეს გზიდან და პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენებმა მე-9 ადგილისთვის პაექრობაში ჯერ პოლონეთს აჯობეს — 45:41, შემდეგ ასეთივე ანგარიშით უკრაინას მოუგეს, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ბულგარეთი დაამარცხეს — 45:33.

პირად პირველობაში ახალგაზრდებს შორის ევროპის სამგზის ჩემპიონი და რიოს ოლიმპიადის მონაწილე სანდრო ბაზაძე მე-18 ადგილზე გავიდა. ბექა ბაზაძე 53-ე, ნიკა შენგელია — 62-ე, საბა სულამანიძე 118-ე და ვაჟა რეჭია 132-ე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. მთავარი პრიზი კორეელმა სანგუკ ოჰიმ მოიპოვა, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი ბონგილ გუ დაამარცხა — 15:13. ბრინჯაოს მედლები ანდრაშ ზატმარისა (უნგრეთი) და ბოლად აპიტნის (საფრანგეთი) ერგოთ.

ლექსო ცინცაძე

ფეხბურთი

ზიდანემ მოურინიოს რეკორდი გაიმეორა

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ჟოზე მოურინიოს მეტოქის მოედანზე წაუგებელი მატჩების რეკორდი გაიმეორა. როგორც Goal-ი იუწყება, ფრანგი სპეციალისტის გუნდმა სტუმრად ზედიზედ 17 მატჩი არ წააგო. ლა ლიგის მე-14 ტურში „ბლანკოსმა“ გასვლაზე „ბარსელონასთან“ ფრედ 1:1 ითამაშა.

აღნიშნული შეხვედრის შემდეგ „რეალს“ 34 ქულა დაუგროვდა და მეორეადგილოსან „ბლაუგრანას“ 6 ქულით უსწრებს. მესამე პოზიციაზე „სევილიაა“ 27 ქულით.

გიორგი ზოთაძე

ჭადრაკი

ირაკლი ბერაძე

საგზურები განაწილდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც სხვადასხვა კუთხის 38 წარმომადგენელი უმაღლესი ეშელონის ოთხი საგზურისთვის იბრძოდა. შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გათამაშდა. 6.5-6.5 ქულით პირველი-მესამე ადგილები ირაკლი ბერაძემ, დავით არუთინიანმა და კონსტანტინე შანავამ გაინაწილეს და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს. მე-4 საგზური ექვსქულიან გიგა ყუფარაძეს ერგო. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარეს თავი შოთა აზალაძემ და ნიკოლოზ ჩხაიძემ, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მათ, შესაბამისად, მეხუთე-მეექვსე ადგილები დაიკავეს. 5.5-5.5 ქულით მეშვიდე-მეათე ადგილებზე მერი არაბიძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, ნინო ხომერიკი და გიორგი სიბაშვილი გავიდნენ.

თამაზ პატარიძე

ხელბურთი

ჩემპიონი უდანაკარგოდ ლიდერობს

2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის თბილისის ზონაში ხუთი გუნდი ჩაება საასპარეზოდ. ისინი სასპორტო კომპლექს „არენაში“ ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამ ასაკში ბოლო სამი წლის ჩემპიონმა დედაქალაქის „პეგასმა“ პირველ ტურში „იმედი 1“ დაამარცხა — 48:7, ხოლო „ქარიშხალამ“ „იმედის“ მეორე გუნდს სძლია — 36:20. მეორე ტურში „პეგასმა“ „იმედი 2“ დაჯაბნა — 51:9, „რუსთავმა“ კი „იმედის“პირველ გუნდს მოუგო — 36:8. მესამე ტურში „პეგასმა“ 42:25 აჯობა „რუსთავს“, ხოლო „იმედი-1“ „ქარიშხალას“ არ გამოუცხადდა და ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეთვალა. დასავლეთის ზონის გუნდები 21-25 დეკემბერს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. აღმოსავლეთის ზონის წარმომადგენლები 24-25 დეკემბერს თელავში ითამაშებენ.

* * *

ამავე ასაკის გოგონებში აღმოსავლეთისა („ქარიშხალა“, „პეგასი“, „მამული“, „გორი“) და დასავლეთის („აჭარა“, „ფოთი“, „წყალტუბო“, „სამტრედია“) რვა გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის. აღმოსავლეთის ჯგუფი თბილისში მართავს შეხვედრებს: „ქარიშხალამ“ 20:9 მოუგო „პეგასს“, ხოლო „მამულმა“ ჩემპიონატის დებიუტანტი გორის გუნდი 32:3 დაამარცხა. მეორე ტური. „პეგასი“ — „მამული“ 6:22, „გორი“ — „ქარიშხალა“ 3:13. დასავლეთის ზონის გუნდები 14-17 დეკემბერს ხელვაჩაურში გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას, საერთო ტური კი 16-19 იანვარს თბილისში ჩატარდება.

გივი გაგუა

კალათბურთი

უესტბრუკი — ლეგენდების გვერდით



გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ოთხი შეხვედრა გაიმართა.

„ოკლაჰომამ“ შინ „ნიუ ორლეანი“ 101:92 დაამარცხა. „თანდერის“ ლიდერმა რასელ უესტბრუკმა (28 ქულა, 17 მოხსნა და 12 პასი) მიჯრით მეხუთე (კარიერაში 47-ე) სამმაგი დუბლი შეასრულა და იმ კალათბურთელთა რიცხვს შეუერთდა, ვისაც ზედიზედ ხუთ მატჩში სამმაგი დუბლი შეუსრულებია. ასეთები არიან: მაიკლ ჯორდანი, უილტ ჩემბერლენი და ოსკარ რობერტსონი. ამ მაჩვენებლით რეკორდი უილტ ჩემბერლენს ეკუთვნის, რომელსაც ერთმანეთის მიყოლებით 9 სამმაგი დუბლი აქვს გაკეთებული. „ნიუ ორლეანში“ 37 ქულით და 15 მოხსნით ენტონი დევისი გამოირჩა. ESPN-ის ცნობით, მატჩის დასრულების შემდეგ დევისმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და მარჯვენა ფეხზე ტრავმა დაუდგინდა. რამდენად სერიოზულია დაზიანება, ჯერჯერობით უცნობია.

ვიტალი ჯაფარიძე

„ჯამბაზები“ ქუთაისის თეატრში

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე) 9 დეკემბერს 18 საათზე რუჯერო ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებზე“ იწვევს მაყურებელს.

იტალიური ვერიზმის კაშკაშა შედევრის დადგმა ქუთაისის ოპერის თეატრში 2009 წელს განახორციელეს დირიჟორმა რევაზ ჯავახიშვილმა, რეჟისორმა მაია გაჩეჩილაძემ, მხატვარმა თემურ არსენიძემ, ქორეოგრაფმა ვახტანგ უშვერიძემ. ამჯერად „ჯამბაზებში“ მთავარ როლებს შეასრულებენ: რუსი სოპრანო **ირინა მანანნიკოვა** (ნედა), **ბადრი სახამბერიძე** (კანიო), **ლაშა თითბერიძე** (ტონიო), **ბაკურ კვირიკაშვილი** (სილვიო), **აბესალომ ხურციძე** (პეპე), **იოსებ კიწმარიშვილი, სერგი ფურცხვანიძე** (გლეხები). სპექტაკლში თეატრის გუნდთან (მთავარი ქორმაისტერი — **ნათია გოგუაძე**), ორკესტრთან და ქორეოგრაფიულ დასთან ერთად მონაწილეობენ: პანტომიმის თეატრი **ბაქარ ბაქრაძის** ხელმძღვანელობით და ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ბავშვთა გუნდი **ნათია გოგუაძის** ხელმძღვანელობით. „ჯამბაზებს“ წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი.**

ეწვიეთ ქუთაისის ოპერის თეატრს და ისიამოვნეთ რუჯერო ლეონკავალოს უკვდავი მუსიკით.

ავთანდილ ბექაური

სანთელი

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი

ირაკლი ჩხარტიშვილი

ინსტიტუტში მოღვაწეობის თითქმის 50 წლის მანძილზე მან გაიარა სამეცნიერო იერარქიის ყველა საფეხური ლაბორანტიდან ლაბორატორიის ხელმძღვანელამდე. ლითონების წნევით დამუშავების სფეროში რესპუბლიკურ და საზღვარგარეთულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი შრომა, არის თანაავტორი მონოგრაფიისა მილების გლინვის თეორიასა და ტექნოლოგიაში. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ტექნიკურ უნივერსიტეტში. იყო მრავალი სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ირაკლი ჩხარტიშვილის გარდაცვალება არის მეტალურგიის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვანი დანაკარგი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების გულებში.

საქართველოს ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება

რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური რეალობისა და არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ბიზნესსექტორი იზრდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული კვარტალური კვლევის შედეგების მიხედვით, ეს ტენდენცია ასახულია ბიზნესსექტორის გამოშვებისა და დასაქმების მაჩვენებლებში.

წლის დასაწყისიდან მოყოლებული, ბიზნესი განაგრძობს სამუშაო ადგილების გენერირებას. „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა, 2016 წლის მე-3 კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 6.6%-ით გაიზარდა და 606.0 ათასი ადამიანი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესში დასაქმებული ადამიანების ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა 2016 წლის პირველი ნახევარიც:

2016 წლის I კვარტალში, ბიზნესსექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 2015 წლის I კვარტალთან შედარებით გაიზარდა 32 257 ადამიანით (6%-ით).

2016 წლის მე-2 კვარტალში, 2015 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 32 521 ადამიანით (5.7%-ით).

რაც შეეხება დასაქმების სექტორულ დინამიკას, 2016 წლის მე-3 კვარტალში დასაქმების ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში:

თევზჭერა, მეთევზეობის დარგი — დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 30.9%-თ, რაც ძირითადად უკავშირდება თევზჭერისა და მეთევზეობის სფეროში წარმოების მოცულობის გაზრდას.

ასევე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის დარგში (4.5%), რაც განაპირობა შედარებით დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებამ ავტომაგისტრალებსა და შიდა გზებზე, ასევე ჰიდროელექტროსადგურების, გაზსადენების, საყოფაცხოვრებო მრავალფუნქციური ნაგებობების მშენებლობამ.

სასტუმროებისა და რესტორნების დარგში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 7.7%-ით, რაც მომსახურებაზე გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად, ახალი საწარმოების ამოქმედებას და ადგილობრივი ერთეულების მატებას უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, რომ დასაქმების ზრდა ძირითად შემთხვევაში დაკავშირებულია სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდასთან. ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობა, 2016 წლის მე-3 კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.8%-ით გაიზარდა და 8.2 მლრდ. ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ზრდის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა 2016 წლის პირველი ნახევარიც.

გამოშვებული პროდუქციის ზრდის მაჩვენებლის მიხედვით შემდეგი სექტორები ლიდერობს: თევზჭერა, მეთევზეობა — 150%, მშენებლობა — 37%, სასტუმროები — 40%, რესტორნები — 30%, განათლება — 20%, ჯანდაცვა — 76%.

ქართული ღვინის ექსპორტი იზრდება!

2016 წლის იანვარ-ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 45 628 091 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 40%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 104 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 17%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტის ზრდის ტენდენცია წლის დასაწყისში დაფიქსირდა და თვეების მიხედვით, ექსპორტირებულმა ღვინომ ნოემბერში მაქსიმუმს მიაღწია.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე აშშ-ის და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთში ზრდამ შეადგინა — 128% (4 886 145 ბოთლი), უკრაინა — 73% (5 179 454), ბელარუსი — 62% (1 060 806), რუსეთი — 48% (24 914 877), პოლონეთი — 47% (2 123 500), ესტონეთი — 37% (588 450), კანადა 30% (198 456), აშშ — 27% (294 382), დიდი ბრიტანეთი — 25% (87 428), ლატვია 15% (1 139 706), იაპონია — 14% (144 126), ყირგიზეთი — 9% (202 666), გერმანია — 4% (270 176) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (24 914 877), უკრაინა (5 179 454), ჩინეთი (4 886 145ბოთლი), ყაზახეთი (3 227 639) და პოლონეთი (2 123 500).

ამასთან, განვლილ 11 თვეში, მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8 952 795 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 37%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 175,2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.



ჯუმბერ პატიაშვილი, დემეტრე ჯაიანი, ვახტანგ ყურაშვილი, ავთო მიქაძე, არჩილ კიკნაძე, დუდა ეფრემიძე, სპარტაკ ხუნწელია გულისტკივილს გამოხატავენ ერთგულებაში რჩეული, ზნეკეთილი რაინდის

კაკო უგულავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის მონაგარს.

იუზა უგულავა, ჯემალ უგულავა, ბეჟან უგულავა, ჯემალ მებუკე, ჟორა საღარაძე, შალვა მგალობლიშვილი იუწყებიან ძირძველი ქართველის, ღირსეული პიროვნების

კაკო უგულავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

შვილები ნანა, ნინო, ნატალია, ნათია უგულავები, და მარიამი, სიძე ზურაბ რატიანი, შვილიშვილები გიორგი, დავით, ერეკლე რატიანები, ძმისწულები თემურ, ხატია უგულავები ოჯახებით იუწყებიან

აკაკი უგულავას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 6 XII, 14 სთ. გამოსვენება წმინდა ნინოს ტაძრიდან (ძველი ველოტრეკის მიმდებარედ).

აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი, პროფესორი ფელიქს კალანდარიშვილი, პროფესორი მანანა დაშნიანი, პროფესორი მანანა გუგუშვილი, აკადემიური დოქტორი ირმა ხაჩიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ნეიროფიზიოლოგი, პროფესორი

ვიქტორ მალოლეტნევი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ლალი ჟვანიას მეუღლის

ზურაბ ჟვანიას

გარდაცვალების გამო.

ხანძარი მაზნიაშვილის ქუჩაზე

თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩაზე ორსართულიანი სახლი დაიწვა. გავრცელებული ინფორმაციით, მაზნიაშვილის 29 -ში ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ცეცხლი 60 კვადრატულ მეტრ ფართობზე გავრცელდა, მეორე სართულზე — 20 კვ.მ დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ადგილზე 6 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა.

რაც შეეხება ცეცხლის გამომწვევ მიზეზებს, ამ ეტაპისთვის უცნობია. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

◎ დღესასწაული

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული 9 დეკემბრამდე გრძელდება



4 დეკემბერს საქართველოს მართლმადიებელმა სამოციქულო ეკლესიამ აღნიშნა უდიდესი დღესასწაული – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანება.

...ცნობილია, რომ, როცა მარიამი სამი წლის გახდა, დაუდგა ჟამი მშობლებთან განშორებისა. მის მშობლებს – წმინდა იოაკიმესა და ანას კარგად ახსოვდათ მთავარანგელოზის ნათქვამი და გადაწყვიტეს, საზეიმოდ, როგორც მესიის დედას ეკადრებოდა, მიეყვანათ ტაძრად მხოლოდ შობილი ასული.

აღსანიშნავია, რომ წმინდა იოაკიმე დავით წინასწარმეტყველის ძის ნათანის შთამომავალი იყო, ხოლო წმიდა ანას წინაპარნი სამღვდელონი იყვნენ, ამიტომაც ამ კურთხეულ დღეს მათ ოჯახში ისრაელში დიდად პატივცემული მრავალი ადამიანი შეიკრიბა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ყრმა მარიამს სადედოფლო შესამოსელი ჩააცვეს.

...გზა ტაძრისკენ ფსალმუნთა გალობით განვლეს, მესამე დღეს იერუსალიმში შევიდნენ, მთელი ქალაქი გამოვიდა ამ დიდებული პროცესის სანახავად!

...და, აი, შევიდა მოზეიმე კრებული ტაძრის ეზოში და შეიყვანა სულიერი ტაძარში დიდისა მეუფისა – ყრმა მარიამი. უფლის ანგელოზებიც შეუერთდნენ წინამძღოლ ქალწულთა გუნდს და მიაცილებდნენ მას წმინდა წმინდათაში.

...ტაძრიდან მათ შესახვედრად გამოვიდა მღვდელ-მთავარი ზაქარია, იოანე ნათლისმცემელის მამა. ის იყო ელისაბედის, წმინდა ანას დისშვილის ქმარი.

ყრმა მარიამმა როგორც კი კიბეზე ფეხი შედგა, დაუხმარებლად აირბინა 15 საფეხური და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. თვით ზაქარია მოიცვა სულიწმინდის მადლმა, მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო სამკვიდრებელი ღვთის მადლისა, გაიხსენა რომ სჯულის კიდობანი, კანონთა მიხედვით, წმინდა წმინდათაში უნდა ყოფილიყო დაბრძანებული, მიხვდა რომ ეს ყრმა მარიამზე იყო ნათქვამი, ამიტომაც გაკადნიერდა და წმინდა ქალწული წმინდა წმინდათაში შეიყვანა.

გიული ლიპარტია

◎ანეკდოტები

დაულაგებელი აზრები:

ცუდი ადამიანი მარტოობაშიც უღირს საზოგადოებაში იმყოფება.

კომენტარებს ჭკვიანი ხალხისთვის წერენ, სულელებისთვის ისედაც ყველაფერი ნათელია.

ნამდვილად გულდასაწყვეტია, როცა ყველაზე დიდი გრძნობა, რაც კაცს გააჩნია, წვრილმანობაა.

იმდენად სახიფათო თავად სულელი კი არ არის, არამედ ის, ვინც მის ჭკვიანად გასაღებად ცდილობს.

ყველა გზა პირველი ნაბიჯით იწყება, სისულელე კი – ნებისმიერიდან.

* * *

ჭიჭიკია სატრფომ მიატოვა და მთელი საღამო ბუხართან ისე გაატარა, ხმა არ ამოუღია და ცეცხლისთვის თვალი არ მოუშორებია.

– ნუ დარდობ, შვილო, მაგნაირ გულნაზას კიდევ ბევრს ნახავ ცხოვრებაში! – დაამშვიდა მამამ.

– ეგ კი ეგრეა, მაგრამ, ამაღამ რა ვქნა?

* * *

– რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, ეს ჩემი ვაჟა ისე აჭიანურებს

ჩვენს ქორწინებას, ძალ-ღონე და ნერვები აღარ შემრჩა! – დაიჩივლა მაყვალამ თინიკოსთან.

– ჰოდა, თავი დაანებე მაგ ოხერს, ჩემო მაყვალ! დაქორწინებას რომ ეგრე ავჯანჯლებს, ახლა შენ ნახე განქორწინებაზე რას იზამს!..

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის მშენებელთა ძველი პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საკავშირო საამშენებლო სამმართველოს ყოფილ თავკაცს, მეგობრობისა და ძმობის ტრფიალს, შესანიშნავ პიროვნებას,ბატონ

ომარ ცაავას

მელანია ტრამპს ნიუ-იორკის დატოვებას სთხოვენ

100 ათას ნიუ-იორკელზე მეტმა ხელი მოაწერა პეტიციას, იმის შესახებ, რომ ტრამპის მეუღლემ ინაუგურაციის შემდეგ ქალაქი დატოვოს.

მელანიამ არჩევნების შემდეგ განაცხადა, რომ არ აპირებს თეთრ სახლში გადაბარგებას და 10 წლის შვილთან ერთად „ტრამპ თაუერის“ პენტჰაუზში დარჩენას ფიქრობს. იმ დრომდე მაინც სანამ ბავშვი პრესტიჟულ სკოლას არ დაამთავრებს.

პეტიციაში ნახსენებია, თუ პირველი ლედი ქალაქში დარჩება, მაშინ მისი დაცვა ნიუ-იორკს 1 მილიონი დოლარი დაუჯდება.

თუ მელანია მაინც დარჩება, მაშინ დაცვის ფული ტრამპმა უნდა გადაიხადოს და არა ქალაქის ბიუჯეტმა.

ასეთი გადაწყვეტილების გამო, მანჰეტენზე მდებარე ცათამბჯენის განსაკუთრებული დაცვა გახდება საჭირო. იგი ხომ ნიუ-იორკის თეთრ სახლად გადაიქცევა.

ფორბსმა ცნობილი გარდაცვლილი მდიდრების სია გამოაქვეყნა

მსოფლიოში არიან ადამიანები, რომლებიც გარდაცვალების შემდეგაც მდიდრდებიან. სწორედ მათი სია წარმოადგინა ფორბსმა.

პირველ ადგილს პოპის მეფე მაიკლ ჯექსონი იკავებს, მისმა მოგებამ 2016 წელს 750 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ცნობილი კომიქსების მხატვარი ჩარლზ შულცი, რომელიც 2000 წელს 77 წლის ასაკში გარდაიცვალა, მეორე ადგილზეა. როკ-ენ-როლის მეფის ელვის პრესლის მოგებამ 27 მილიონი დოლარი შეადგინა.ცნობილი მომღერალი პრინცის წლიური მოგება 25 მილიონი დოლარია.

1981 წელს გარდაცვლილი მომღერალი ბობ მარლი მე-6 ადგილს იკავებს 21 მილიონი დოლარით. ლეგენდარული მომღერალი ჯონ ლენონი, რომელიც 25 წლის წინათ მოკლეს, 12 მილიონ მოგებას „იღებს“. ალბერტ აინშტაინი მე-9 ადგილზეა 11,5 მილიონი დოლარით. სიას კი ასრულებს მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი – წელიწადში 9 მილიონი დოლარის მოგებით.

ფიდელ კასტროს სახელის გამოყენებას აკრძალავენ

კუბის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა რაულ კასტრომ განაცხადა, რომ მისი ხელისუფლება აკრძალავს საზოგადოებრივი დაწესებულებების, ქუჩებისა და სკვერებისთვის ფიდელ კასტროს სახელის მინიჭების უფლებას.

ახლანდელი ლიდერი აცხადებს, რომ ძმის სურვილს ასრულებს, რომელსაც არ სურდა, მისი სახელი კულტად ქცეულიყო.

პრეზიდენტი ამ კანონს ნაციონალური ასამბლეის პირველივე სხდომაზე დაამტკიცებს.

რაულ კასტრომ დაიფიცა, რომ დაიცავს სამშობლოს და სოციალიზმს.

ფიდელ კასტრო 10-დღიანი გლოვის შემდეგ, 4 დეკემბერს სანტიაგო-დე-კუბაში დაკრძალეს.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5599; ევრო - 2.7250;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2283;
100 რუბლი - 3.9854; თურქული ლირა - 0.7250;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4493;
1000 სომხური დრამი - 5.3276.

ამინდი 6 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5	დღე +4
ძთიანი რაიონები -	ღამე -12	დღე +0
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3	დღე +5
ძთიანი რაიონები -	ღამე -8	დღე +2
თბილისი:	ღამე -2	დღე +2

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE